საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 აპრილი, 2015 წელი.

№68 (7713)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

თუ ღირსეული ქვეყნის შექმნა და შენარჩუნება ჯერ კიდევ გვსურს... 3





ოთარ შონია: როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო 9

არამზადა კუბლაშვილს მადლობა რომ არ გადაუხადო, სასამართლო ინსტიტუტი დაინგრევა?! 2

ქართველმა რეჟისორმა უკრაინელებს მოუწოდა, არ ენდონ საკაშვილის ცრუვაქცინაციას 8



სასამართლოს თავმჯდომარეებს მანტია ვერ ჩავაცვით... 7

მთელი საქართველო ევროპაში რომ გაიკრიფოს?! 5

რაც 100 წლის წინათ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა, საქართველოს პარლამენტის გასარჩევი არ არის 2

ხმალშემართული სეპარატიზმი

მეგრელთა გამეგრელება გალში 6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერმა ბიზნესმენებს კახეთის რეგიონში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები გააცნო

ალნიშნული პროექტების შესახებ მთავრობის მეთაურმა სიღნაღში, ადგილობრივ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ისაუბრა, რომელთაც ახალი პროექტი „ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის“ გააცნო.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. მინდა გითხრათ, რომ საინვესტიციო პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 224 მილიონ ლარს. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში გაცემულია 10 122 სესხი – საერთო ღირებულებით 443 მილიონი ლარი. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 34 ახალი საწარმო, რომლებისთვისაც გაიცა 21 მილიონი ლარის სესხი. გარდა ამისა, ჩვენ გადავაიარაღეთ 267 საწარმო და ამისთვის გამოვყავით 53 მილიონი ლარი.

დამატებით, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კახეთში სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსდა კიდევ 1 საწარმო, რომლისთვისაც გაიცა სესხი მილიონ 340 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. ბოლო 2 წლის განმავლობაში 209 ათას 829 ბენეფიციარმა მიიღო 43 მილიონზე მეტი ლარის სარგებელი სასოფლო-სამეურნეო საქონლის და 6 მილიონი ლარის სარგებელი მიწის სამუშაოების სახით. წელს ამავე პროექტის ფარგლებში, 99 ათას 591 ბენეფიციარისთვის გამოყოფილია 9-მილიონ-ნახევარზე მეტი ლარის ღირებულების სარგებელი. ამ ეტაპზე კახეთის რეგიონში მოხნულია 10 ათასი ჰექტარი მიწა. მნიშვნელოვანია სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა, რომელიც 90 %-მდე დააზღვევს მოსავალს. წლების განმავლობაში ეს იყო მოუგვარებელი პრობლემა. ამას გარდა, ჩვენ ავამუშავეთ აგროდაზღვევის პროექტი. მარტო კახეთში გაიცა 4 ათას 56 პოლისი და დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 86 მილიონზე მეტი შეადგენა.

აქვე გეტყვით, რომ 2012 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სისტემების 16 ობიექტზე შესრულდა 2 მილიონზე მეტი ღირებულების პროექტები. 2013 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოწესრიგდა 94 კმ სამელიორაციო არხი. სულ მოწესრიგდა 413 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა. 3 ობიექტზე შესრულდა 742 ათასი ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიღებულმა შედეგმა წყალუზრუნველყოფილი ფართობი გაზარდა 1500 ჰექტარით, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი – 924 ჰექტარით.

2014 წელს გაიწმინდა და მოწესრიგდა 170 კილომეტრი სარწყავი არხი და სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 300-მდე სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში 2014 წელს კახეთში განხორციელდა 6 სარეაბილიტაციო პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება 9 მილიონ-ნახევარი ლარია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს 3 ობიექტზე, რომლის ჯამური ღირებულება 9 მილიონ ლარამდეა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ დამატებით 2 ათას 376 ჰექტარი მიწა იქნება წყალუზრუნველყოფილი, ხოლო დაშრობა შესაძლებელი გახდება დამატებით 3 ათას ჰექტარზე. იგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ ერთ ახალ ობიექტზე, საერთო ღირებულებით 12-მილიონნახევარი ლარი.

„საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მსოფლიო ბანკმა უნდა გამოყოს 50 მილიონი დოლარი, საიდანაც მარტო კახეთის რეგიონის ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოხმარდება დაახლოებით 10 მილიონი ლარი.

მინდა გითხრათ, რომ კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 58 კოოპერატივს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მემარცვლეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა“, – აღნიშნა პრემიერმა.

◎ რეპლიკა

არამზადა კუბლაშვილს მადლობა რომ არ გადაუხადო, სასამართლო ინსტიტუტი დაინგრევა?!

„არამზადა კუბლაშვილს, ვინც ათწლეულით დაამუხრუჭა სასამართლოს და ქვეყნის განვითარება, ვინც ათასობით უდანაშაულო ადამიანი გააუბედურა, მადლობა რომ არ გადაუხადო, სასამართლო ინსტიტუტი დაინგრევა?!“ – წერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია „facebook“-გვერდზე.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის წარდგენისას უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს მადლობა გადაუხადა.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთ სერიოზულ საკითხს – ინსტიტუტების მდგრადობასა და მემკვიდრეობითობას ვუსვამთ ხაზს. ბატონი კოტეც დღეს ჩვენთან ერთად არის და ამით ნათლად ვაჩვენებთ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ინსტიტუტებს, ვაგრძელებთ ინსტიტუციურ მემკვიდრეობას და საქართველოში ის, რაც მოხდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც მოხდა მშვიდობიანი ცვლა პოლიტიკური ხელმძღვანელობის, არ იწვევს რყევებს. ჩვენ ყველა ვემსახურებით ჩვენს სამშობლოს და სამშობლოს ვემსახურებით ამ ინსტიტუტების მეშვეობით. ჩვენ შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა შეხედულებები, მაგრამ მთავარია ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი სამშობლო, აქედან გამომდინარე, ვაძლიერებთ მის ინსტიტუტებს. ინსტიტუტების გაძლიერება ყველა

ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ბატონ კოტეს მობრძანებისთვის; მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ დღეს ჩვენ გვაქვს თაობათა ცვლა, ერთი თავმჯდომარე მიდის, მეორე მოდის, მაგრამ ინსტიტუტი რჩება და ეს არის უმნიშვნელოვანესი“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მოამზადა
ნათია ცუხიშვილმა

საქართველოს მთავრობამ ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით, რაც გასაკეთებელი იყო, ყველაფერი გააკეთა

ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ინტერპოლის მიერ იუსტიციის ყოფილ მინისტრზე საერთაშორისო ძებნის შეწყვეტის კომენტირებისას განუცხადა.

„თუ ინტერპოლს აქვს რაიმე ახალი პოლიტიკა და ეს მათი გადაწყვეტილებაა, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მეთაურის პოზიცია რატომ უნდა იყოს საინტერესო? ჩვენმა მთავრობამ რაც გასაკეთებელი იყო ყველაფერი გააკეთა – ადეიშვილიც მივეცით პასუხისგებაში და ყველა ის დამნაშავეც, რომლებმაც წლების განმავლობაში შექმნეს დანაშაულებრივი სისტემა. ციხეში სხედან მერაბიშვილიც, ახალაიაც და სხვებიც, რომლებმაც წლების განმავლობში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დიდი სირთულეები შეუქმნეს. ასე რომ, თუ ინტერპოლის პოლიტიკა არის შეცვლილი, ეს მათი საქმეა. ამაზე შესაბამისი უწყებები გააკეთებენ განცხადებას“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, პრემიერმა აბსურდული უწოდა კითხვას, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ მთავარი პროკურატურის მიერ ინტერპოლისთვის ადეიშვილის საქმესთან დაკავშირებით გადაგზავნილი მასალები არასაკმარისად არგუმენტირებული ყოფილიყო.

„ეს რომ ყოფილიყო არასაკმარისად არგუმენტირებული, ინტერპოლი არ ჩასვამდა ადეიშვილს წითელ ცირკულარში. აქედან გამომდინარე, აბსურდულია შეკითხვა, ხომ არ იყო მასალები ნაკლებად არგუმენტირებული - რა თქმა უნდა, არა, იმიტომ რომ ინტერპოლმა თავის დროზე გაიზიარა ყველა ის მასალა, რომელიც გადაუგზავნა პროკურატურამ. სწორედ ამის საფუძველზე გამოცხადდა მასზე წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა“, – განმარტა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა წმინდა ნინოს სახელობის მშენებარე ტაძარი დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ კახეთის რეგიონს სტუმრობდა. ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე მთავრობის მეთაური ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსს ეწვია.

პრემიერმა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მოილოცა და წმინდა ნინოს სახელობის მშენებარე ტაძარი დაათვალიერა.

ირაკლი ღარიბაშვილი სამონასტრო კომპლექსის შესასვლელთან პოლონელ ტურისტებსაც გაესაუბრა.

პრემიერ-მინისტრს ბოდბელმა ეპისკოპოსმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა უმასპინძლა.

◎ ადუღებული მსოფლიო

რაც 100 წლის წინათ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა, საქართველოს პარლამენტის გასარჩევი არ არის

ის, რაც 100 წლის წინ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა, საქართველოს პარლამენტის საკითხი არ არის – ეს გაარკვიონ ისტორიკოსებმა, – აღნიშნული განცხადებით ახალქალაქის მაჟორიტარ დეპუტატს სამველ პეტროსიანს მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ, მარნეულის მაჟორიტარმა აზერ სულეიმანოვმა უპასუხა.

„არ ვიცი, ჩემი კოლეგა რომელ გენოციდზე საუბრობდა. ეს არ იყო გენოციდი – ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირება, სამოქალაქო ომი. ის, რაც 100 წლის წინ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა, თურქეთის მთავრობამ, თურქეთის პრეზიდენტმა მრავალჯერ გამოაცხადა, რომ თურქეთის ყველა არქივი ღიაა და ვისაც აინტერესებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, შეუძლია ნახოს. ამ ომში უფრო მეტი თურქი დაიღუპა, ვიდრე სომეხი. თუ 100-წლიან ისტორიაზეა საუბარი, ზუსტად 100 წლის წინ, 31 მარტს აზერბაიჯანელი ხალხის გენოციდი მოხდა. აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონში 100 ათასამდე აზერბაიჯანელი დახოცეს. ისინი დახოცეს სომხეთის დაშნაკებმა და წითელმა არმიამ. კარგად მახსოვს, რა მოხდა 20 წლის წინ აზერბაიჯანში – ყარაბაღში, ერთ ღამეში 700 უიარაღო აზერბაიჯანელი დახოცეს, რომელთაგან ძირითადად ბავშვები და ქალები იყვნენ. ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ. ჩვენი მთავარი მტერი აქედან 40 კილომეტრში დგას. რატომ ამაზე არ ვსაუბრობთ? ის, რაც 100 წლის წინ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა, ეს საქართველოს პარლამენტის საკითხი არ არის. ეს გაარკვიონ ისტორიკოსებმა“ – განაცხადა აზერ სულეიმანოვმა.

ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი სამველ პეტროსიანი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სომეხთა გენოციდის აღიარებისა და დაგმობის მოწოდებით გამოვიდა.

როგორც პეტროსიანმა განაცხადა, მომხდარის აღიარება საჭიროა იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი დანაშაული თავიდან იყოს აცილებული.

შედარებით მარტივით დავიწყებ – ჩვენი (კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების ერთობას ვგულისხმობ) ერთი საერთო, თუმცა, ზედაპირული შთაბეჭდილებით, ანუ იმით, თუ რასაც დაგვაჩვია დრომ, მოსწრებამ, განგებამ და ჩამოყალიბებულმა კულტურულმა გარემომ.

ჯერ წარმოიდგინეთ იდილიური და უმარტივესი სურათი – როგორ ჩართავს რომელიმე ტიპურ საღამოს სამსახურიდან სახლში დაბრუნებული დაქანცული კაცი (დავუშვათ, რომ უმუშევარი არაა) ტელევიზორს. შემდეგ დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: რა დახვდება, დაამშვიდებს და გამოუკეთებს მას გუნება-განწყობილებას, მოესალბუნება მის დაღლილ თვალებსა და დამაშვრალ სულს?

ზერელე პასუხი უმარტივესია: მას დახვდება სწორედ ის ინფორმაციული ნიაღვარი, რომელიც ასე უხვად მოედინება ცისფერი ეკრანებიდან, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, თუ რა ძირითადი კომპონენტებისგან შედგება ის მღვრიე ნაკადი, რომელმაც იდეალურ შემთხვევაში უნდა გაგვამხნევოს და გაგვაძლიეროს ხვალინდელი ბედნიერი დღის მოლოდინში?

მოდით, დროებით გამოვრიცხოთ ამ ნაკადიდან კონცერტები, სპორტული სანახაობები და სხვა მსგავსი „ტრამპა-ცუმპა“ – შესაძლოა, ხშირად უხარისხო და უგემოვნო, მაგრამ ესოდენ აუცილებელი ხალხის ჭრელი მასისთვის. ხელში შეგვრჩება საინფორმაციო გადაცემები და ნაირ-ნაირი თოქ-შოუები თავისი პოლიტოლოგიური ინტერვიუებით, წამყვანების ინტრიგნული ჩაკითხვებით, პასუხის არშესმენის მათივე ფანტასტიკური უნარით, რესპონდენტებთან საჭირბოროტო თემებზე ზედმეტად ემოციური და წყვეტილი საუბრებით და... თუმცა, რა ჯობს ინტელექტუალური დასვენების ამ სახეობას ძილის წინ?

მაგრამ აქ – სდექ!

საღლიცინოდ და ადრენალინის გამოსაყოფად, შესაძლოა, ეს ყველაფერი მართლაც წაგვადგეს, მაგრამ წამით – სარეკლამო პაუზაში მაინც – დავფიქრდეთ: მართლა კი მიდის პატიოსანი საუბარი ამ თოქ-შოუებში ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე? აქტუალურ საკითხებზე – კი ბატონო, მიდის ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, იმას, თუ რა არის საზოგადოებისთვის აქტუალური და რა კიდევ არც ისე – მსგავსად ყოველდღიური „ახალი ამბების“ დღის წესრიგისა – მართლაც თავად ადგენს და განსაზღვრავს ქართული მედია მთელ თავის მშვენებაში (თავისი მესვეურებითურთ, პოპულარულ წამყვანებიანად, მრავალნაცად და მრავლისმნახველ კალმოსან ჟურნალისტებთან და გამოუცდელ რეპორტიორ-ოპერატორებთან ერთად და ა.შ.). ზემოხსენებული დაღლილი კაცი ამ სანახაობებით ზოგჯერ თავსაც შეიქცევს და მათ გულსაც გადააყოლებს, მაგრამ შეძლებს კი ვინმე ამ საუბრების შედეგად გადაჭრილი ერთი სერიოზული პრობლემის დასახელებას მაინც? მართალი გითხრათ, მინდა და ვერ ვიხსენებ... აი, ლაზღანდარობაში და გაწევ-გამოწევაში გარდამავალ „კონსტრუქციულ დისკუსიებს“ კი რამდენსაც გინდა – განსაკუთრებით პარასკევობით! როგორც წესი, მორიგი მტკივნეული პრობლემის გადაჭრის ნათელი გზების დადგენას შეურაცხყოფათა ფინალური კასკადი ცვლის ხოლმე და... ბოლოს კი კრება რჩება მხიარული, ხოლო პოლემიკა დაუმთავრებელი. ეს ამგვარი თოქ-შოუების ტიპური სცენარი გახლავთ.

შეიძლება, შემომედავონ, რომ შოუ-ბიზნესისა და სოციალური ქსელების ეპოქაში ტრადიციული მედია, ძირითადად, გართობის საშუალებაა და საჯარო პოლემიკის მეშვეობით ჭეშმარიტების მოძიება ან სამართლიანობის დამყარება მედიის ფუნქცია სულაც არ არის. თუმცა, მე ჯერ კიდევ მახსოვს დრო (ასაკის გამო), როდესაც, მაგალითად, ცენტრალურ პრესაში დაბეჭდილი წერილი ან სტატია (ავტორსაც გააჩნია) მართლაც ხელშესახებ და სავსებით რეალურ გავლენას ახდენდა როგორც დასმული საკითხის არსის გასიგრძეგანებაზე, ისე კონკრეტული ადამიანების ბედზეც – ხშირად მაშინდელ სასამართლოზე მეტადაც კი. კარგი იყო ეს თუ ცუდი, ეგ სხვა საკითხია, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. რაც შეეხება ამ ჩვენს ცოდვით სავსე თოქ-შოუებს – არც გართობის მხრივ აქვთ კარგად საქმე. თითქმის სულ ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე დრომოჭმული სიტყვები, ერთი და იგივე მრავალგზის გადაღეჭილი თემები... ევროპა, ამერიკა, ბიძინა, მიშა, ლგბტ, პოლიცია, სამღვდელოება, „თეთრი დათვი“ რუსეთი, სამართლიანობა (რომელიც ფეხებზე ჰკიდიათ)... მერე ისევ სამართლიანობა, მიშა, ბიძინა, ამერიკა, ევროპა, ლგბტ, მტარვალი რუსეთი, აფხაზეთი ჩვენია, სამაჩაბლო ჩვენია... წლობით იღეჭება, იღეჭება და ვერ დაიღეჭა ეს „ანტიდეპრესიული კევი“. და დავდივართ ტელემაყურებლები – ანუ საქართველოს მოსახლეობა – ამ უსასრულო წრეზე, სხვა რა გზაა!

ჰო, არ დამავიწყდეს – განსახილველ თემებს ამ ბოლო დროს ლარის კურსზე „ზრუნვა“ დაემატა, ოღონდ ეს კურსი ამ ზრუნვას მაინცდამაინც ვერ ამჩნევს.

ამასობაში კი იქმნება (ან უკვე შეიქმნა) დიდი და ზოგადეროვნული საზოგადოებრივი შთაბეჭდილება, რომ ამ ქვეყნის მესვეურებსაც და მოსახლეობასაც სინამდვილეში

თუ ღირსეული ქვეყნის შექმნა და შენარჩუნება ჯერ კიდევ გვსურს



არაფერი აინტერესებთ და აღელვებთ საკუთარი ჯიბის გარდა. და ისიც ინერციით – მხოლოდ იმის გამო, რომ პირად ჯიბეზე ზრუნვა არა მარტო იოლად გასაგებია, არამედ უაღრესად მისაბაძიცაა – თუკი მართლაც იმ განვითარებულ საზოგადოებაში შესასვლელი ბილეთის მოპოვებას ესწრაფვი, რომლის სიკეთეებზე აგერ მეოთხედი საუკუნეა ყურები გვაქვს გამოჭედილი. ერთი სიტყვით, „ელიტა“ – თავისთვის, ხალხი – თავისთვის, ან, თუ გნებავთ – სახელმწიფო თავისთვის, ბანკები თავისთვის, პარტიები და ბიუროკრატია თავისთვის, ჩვენ კი თავისთვის – არც ერთობლივი მომავალი, აღარც შორს მიმავალი გეგმები, აღარც რაღაც საერთო იდეალები – ისეთები, რომლის წყალობით ერი მართლა განვითარებულ ერად ყალიბდება, ხოლო მისი კუთვნილი სახელმწიფო კი განვითარებულ სახელმწიფოდ. დღეს ამ იდეალების მაგივრობას ისევ ცნობილი სიმულიაკრები წევენ: აფხაზეთი, ოსეთი, რუსეთი, მაკკეინი, პუტინი, დემოკრატია, არჩევნები, ჯარი, პოლიცია... მაყურებელთა უმეტესობას კი ამას ხშირად გამეორების გამო რეფლექტორული მთქნარება ეწყება ხოლმე. უბრალოდ ძილი ერევათ, რამეთუ რეალობაში, ეკრანს მიღმა, სახეზეა სრული ამორფულობა და უიმედობა. და რატომაა გასაკვირი ან მოულოდნელი, ასეთ საზოგადოებაში მართლაც უკურნებელი და მზარდი ნიჰილიზმი სუფევდეს?

საბოლოოდ კი, ხმაურიანი ტელეწარმოდგენის დასასრულისთვის თითქმის ჩაძინებულ იმ დაღლილს კაცს, შერჩება ოდენ გახუნებული ნახევრადსიმართლეების გაცვეთილი დასტა – რაც, გარეკანს რომ მოფხიკავ, იგივე ტოტალური სიცრუის „რბილი“ ნაირსახეობაა და არაფერი მეტი. მოკლედ, როგორც ხალხში იციან თქმა, ტყუილი, ტყუილი, ტყუილი და პირში პაპიროსი. აქაც შემომედავება ვინმე, ობიექტურად მძიმე ვითარებაა და მეტა რა უნდა ქნანო? მაგრამ – თუ მაინც და მაინც, და ვითარება მართლაც გამოუვალია – ამ ტყუილის თქმასაც ხომ რაღაც მოფიქრება, რაღაც ოსტატობა, ნიჭი, რაღაც სიახლე და მრავალფეროვნება უნდა...

ან იქნებ მე ვცდები – და არ უნდა? საერთოდ, იქნებ არავის აღარაფერი აღარ უნდა და ტყუილად ვირჯები? აღარაა მოთხოვნილება და დაიღალა ხალხი?

არაა, სამწუხაროდ, გამორიცხული.

რა თქმა უნდა, ღრმა და პროვინციულ ჭაობში უმწეოდ „ფაფხური“ დღეს მხოლოდ ჩვენი პატარა სააქართველოს მიერ დამასახურებული პრივილეგია როდი გახლავთ. ბევრი სხვა ქვეყანაც ასეა, მრავალი უარესადაც კი. რაკიღა ჩვენ მაინც პოსტსაბჭოთა სივრცეს ვეკუთვნით, ჩვენი ხვედრიც და სპეციფიკაც ცოტა განსხვავებულია – გარკვეულწილად ჩვენი ამგვარი ყოფა გამოწვეულია იდეოლოგიური ველის იმ ტოტალური მოწმენდით, რომელიც განხორციელდა ყოფილ სსრკ-ში გასული საუკუნის 90-იან წლებში (თუმცა, თუ ჩავყვებით, ამის საწინდარი საბჭოთა კავშირში, ალბათ, 70-იანი წლების ბოლოდან შეინიშნებოდა) და რომლის ხილული შედეგი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ათობით სათამაშო (სამაგიეროდ, ლეგალური) დემოკრატიული ყაიდის „პოლიტიკური პარტიის“ წარმოქმნაში გამოიხატა.

ახლა კი საკითხს ოდნავ სხვა კუთხით დავაკვირდეთ. გვქონდა (ან გვაქვს კი დღეს) რაიმე სხვა გზა, სხვა არჩევანი, ვიდრე დღევანდელ ულიმღამო სინამდვილეში უწყვეტად გარდამავალი ჩვენივე უსამართლო წარსული იყო? იყო კი ჩვენზე რაიმე დამოკიდებული საერთოდ? და თუ არა, მაშინდელი პამპულები ამჟამინდელ პამპულებად ხომ არ დავრჩით – ოღონდ სხვა პერანგში?

ვფიქრობ, ეს ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა, თოქ-შოუებში წამყვანებიც და რესპონდენტებიც მას ცეცხლივით გაურბიან ხოლმე. განა არ ესმით რაშია საქმე, არც ისეთი მიამიტები არიან – არ ესმოდეთ, მაგრამ „დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს“ უნდა მიაწვნენ, დამქირავებლები მათ ხელფასს, პირველ რიგში, ამ ცნებების კარგად შეფუთვაში უხდიან – ჰოდა, რა ქნან? აბა, ოდნავ ზევით საყოველთაო „ჯიბის ინტერესზე“ ტყუილად კი არ მიწერია...

ჩვენ კი – ვისაც მხედველობა და ისტორიის შეგრძნება ჯერ არ დაგვიკარგავს – ვხედავთ, რომ „დემოკრატიულად“ მოწმენდილ იდეოლოგიურ ველში ახალი ნერგების გადარგვა ერთობ რთული, თუმცა, ფრიად სასარგებლო პროცესია.

დღეის გადასახედიდან ბედისწერამ კაცობრიობას სულ რამდენიმე მიმზიდველი იდეოლოგიური მოდელი მოუვლინა. ძალზე უხეშად (მე განზრახ ვუტრირებ და ვამარტივებ საკითხს), ესაა ყოფილი საბჭოთა მოდელი (თავისი ნაირსახეობებით), დასავლურ-ლიბერალური მოდელი და ჩინური მოდელი. ცხადია, აქ ამ მოდელების წვრილად განხილვას არ და ვერ შევუდგები (ეს ძალიან ვრცელი თემაა) და მხოლოდ მათ ძირითად კომპონენტზე შევაჩერებ – ისიც ძალზე პუნქტირულად – თქვენს ყურადღებას.

1) საბჭოთა იდეოლოგიური მოდელი (კომუნიზმი, ხალხთა მეგობრობა, ძალის გამოყენებით განსხვავებული მონაცემების მქონე ადამიანების მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლებად გათანაბრება, სოციალური გარანტიები და ა.შ.) – მიუხედავად უამრავი თეორიული და წმინდა ადამიანური უპირატესობებისა — გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე დამარცხდა. საბოლოო ჯამში მისი კრახის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ მოდელში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა საშუალო ადამიანის ძველთაგანვე ეგოისტურ და მტაცებლურ ბუნებას, გენეტიკურ ფაქტორებს, რეალურ ეკონომიკურ კონკურენციას – ამის გამო ის გაცვდა და დროთა განმავლობაში საკუთარ თავზე უიღბლო და არამწარმოებლურ პაროდიად იქცა. თუმცა, ჩემი აზრით, ამ მოდელს დღესაც აქვს საკმარისი იდეალისტური და ჰუმანისტური პოტენციალი, რამეთუ ის სარგებლობს გარკვეული – ხშირად შეფარული – მხარდაჭერით საერთაშორისო სოციუმის იმ არეალში, სადაც ე.წ. „ოქროს მილიარდს“ არაფერი ესაქმება და ამიტომ სინამდვილეში არავინ უწყის, საბოლოოა ეს დამარცხება თუ არა.

გოგი ლორთქიფანიძე

(დასასრული იძნება)

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თუ ზეზეში

● მიშასი რო გჯერა და ზეციური ცეცხლის – არა, უკვე ფოკუსია!

● რურუა, შემთხვევით იმ ხელისუფლების წარმომადგენელი ხომ არ ხარ, ნახევარი საქართველო „ჯეფზე“ და „კრაკადილზე“ რო შესვა? ახლა გაგახსენდა სარეაბილიტაციო ცენტრები? მთელი თბილისი ენიგმას კლიპივით უკუსვლით რო დადიოდა 9 წელი, მაშინ სად იყავი?

● მთლად რუსული ანდაზის მიხედვით ვცხოვრობ:

არ მაქვს 478 მანეთი და მყავს 478 ფეისბუქელი მეგობარი. ანდაზის პირველი ნახევარი ნაღდია, მეორეს კი ცოტა ხანში გავიგებ.

● დანიის, პოლონეთის და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დანიის, პოლონეთის და შვედეთის საშინაო საქმეებს მიხედონ. არ გააწყალეს გული!

● მერე რა, რომ ტუალეტის ქაღალდი არ იშოვებოდა?

მაინც 60-70-იანი წლების საქართველო სჯობდა დღევანდელს. ბოლოს და ბოლოს, ტუალეტის ქაღალდში ხომ არაა ბედნიერება?

● ინგლისის დედოფალს უთქვამს, ნახევარ სამეფოს ვიძლევი ბერუჩაშვილშიო. ჩვენს მეფეს უპასუხნია: არ გაცვლი ბერუჩაშვილსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო.

მაააშ!

● რა ვქნა? არ მჯერა, შალვა აბულაძის ძმაკაც მამედოვის „ფაქტით“ დაჭერის ვერსია...

პიროვნებას, რომელსაც 7-დან 14 წლამდე სასჯელი ემუქრება, 10 ათასი ლარის გირაოთი არ ათავისუფლებენ. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო და თუ მოეგნენ გონს, მაგას რა სჯობს. თუმცა, ძალიან არა მგონია!

● ბატონო პროკურატურავ, ძალიან უტიფრად რომ ცრუობთ, ვერ ატყობთ?.. იცით თუ არა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს საფრანგეთმა ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა მაგრამ ეს არ გამხდარა მისი ინტერპოლის წითელი ცირკულარიდან მოხსნის საფუძველი.. უფრო მეტიც, ბიძინა გიორგობიანს გერმანიამ ჯერ ლტოლვილის სტატუსი მისცა და შემდეგ მოქალაქეობა, მაგრამ ის ძველებურად იძებნებოდა ინტერპოლით.. ასე რომ, ახლა გამობრძანდით და ახსენით, რა ხდება?

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ფულადი გზავნილების მოცულობა 23.5%-ით შემცირდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მარტის თვეში ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა.

სებ-ის ინფორმაციით, 2015 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 92.2 მლნ აშშ დოლარი, ანუ 202.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 28.4 მლნ აშშ დოლარით (62.2 მლნ ლარით), ანუ 23.5 %-ით ნაკლებია 2014 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91.6 % იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მარტში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის მარტში მთელი ფულადი გზავნილების 93.6 % მოდიოდა.

იმ ქვეყნების ხუთეული, საიდანაც საქართველოში 2015 წლის მარტში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა, ასე გამოიყურება: რუსეთი (34.3 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთი (14.3 მლნ აშშ დოლარი), იტალია (8.9 მლნ აშშ დოლარი), აშშ (8.5 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (6.6 მლნ აშშ დოლარი).

სებ-ის ინფორმაციით, 2015 წლის მარტში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.4 მლნ აშშ დოლარი (33.7 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 14.2 მლნ აშშ დოლარისა (24.6 მლნ ლარისა) გასული წლის მარტში.

◎ რიგის სამიტის მოლოდინში

ევროპელი მინისტრები: დაპეხმარებით საქართველოს, მაგრამ წინსვლა მაინც თქვენზეა დამოკიდებული

დანიის, შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი სტუმრობა მტკიცე მხარდაჭერის გამოვლინებად მიიჩნევა აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტის წინ, რომელსაც საქართველოს დიდი იმედი უკავშირდება. სტუმრები და მასპინძლები იმედოვნებენ, რომ მაისის სამიტზე საქართველო შეძლებს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის მიზნისკენ. 3 ქვეყნის მინისტრები, ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა, ოპოზიციური სპექტრისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა ევროინტეგრაციის საფრთხეებსა და პრორუსული ჯგუფების გააქტიურებაზე.

ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე და ურყევი მხარდაჭერის გარდა, სამი ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოს ძლიერ მხარდაჭერას ჰპირდებიან ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. უახლოესი მომავლის ყველაზე დიდი იმედი რიგის სამიტსა და ვიზების ლიბერალიზაციის პერსპექტივას უკავშირდება. პოლონეთის, დანიისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები გამოხატავენ იმედს, რომ როგორც მოლდავეთს აუნთო მწვანე შუქი ევროკავშირმა ვილნიუსის სამიტზე, იგივე მოხდება საქართველოსთან მიმართებით რიგის სამიტზე: **„ვიმედოვნებთ, რომ საქართველო იმავე გზას გაივლის, რაც მოლდავეთმა გაიარა. ეს სწორი გზაა. ჩვენგან იქნება დახმარება, მაგრამ შედეგი ძირითადად დამოკიდებულია საქართველოს აქტიურობაზე. ჩვენ საქართველოს ყველაფრის ორგანიზებაში დავეხმარებით. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ვიმედოვნებთ, რომ რიგის სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა იქნება აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის და განსაკუთრებით — საქართველოსთვის“.**

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუეგოუ სხეტინამ ეს სიტყვები 14 აპრილს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატეს სხვა სტუმრებმაც, რადგანაც ვიდრე ევროკომისიის საბოლოო შეფასება გახდება ცნობილი, ყველას უჭირს კონკრეტული პროგნოზების გაკეთება.

თუკი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის სიტყვებით ვიმსჯელებთ, საქართველოს გააზრებული აქვს, რომ რიგის სამიტამდე დარჩენილი რამდენიმე კვირა საგანგებო მუშაობას მოითხოვს: **„ყველა უწყება, რომელიც ჩართულია უკვე ორი წლის განმავლობაში ამ პროცესში, ძალიან აქტიურად მუშაობს. ჩვენ პრაქტიკულად გავედით ფინალში. დამთავრდა შემფასებელი მისიები. ჩვენი ამოცანა იქნება, ყველა რეფორმა სრულყოფილად აისახოს საბოლოო ანგარიშში, რომელიც, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, იქნება პოზიტიური“.**

პრესკონფერენციაზე საქართველოს მტკიცე მხარდაჭერაზე ილაპარაკა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც, თუმცა, როცა მარგოტ ვალსტრომი საქართველოს მომავალი წინსვლის იმედს გამოთქვამს, იქვე აღნიშნავს, თუ კიდევ რისი გაკეთება მოეთხოვება ქვეყანას. ამ კონტექსტში გაკეთდა მინიშნება, რომ რიგის სამიტს „რეალისტური მოლოდინები“ უნდა დაუკავშირდეს.

მარგოტ ვალსტრომმა ასევე აღნიშნა, რომ სამი ევროპული ქვეყნის მინისტრები საქართველოში სამეგობროდ და მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ, მაგრამ მათ მოთხოვნებიც აქვთ: **„იმედია, ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის გადადგმული ნაბიჯები და რეფორმები იგულისხმებს იმას, რომ თქვენ უფრო მეტად გახედავთ მომავლისკენ, ვიდრე წარსულისკენ... და რომ თქვენ გააგრძელებთ ყველა თქვენს მნიშვნელოვან ძალისხმევას, რაც ნიშნავს დემოკრატიული, გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული ინსტიტუტების მშენებლობას. ჩვენ ასევე ვისურვებდით სასამართლოს რეფორმირებას, როგორც ეს უკვე აღნიშნეს ჩემმა კოლეგებმა“.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრისა და პრესკონფერენციის შემდეგ, პოლონეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც თანამშრომლობის ახალი ფორმატის — „თბილისის დეკლარაციის“ — ამოქმედებას ისახავს მიზნად. ამ ფორმატის ფარგლებში პოლონეთი საქართველოს გაუზიარებს გამოცდილებას და დაეხმარება ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საგარეო უწყების დატოვების შემდეგ დანიის, შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ოპოზიციური სპექტრისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. როგორც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია აღნიშნავს, ერთ-ერთი მთავარი აქცენტი რუსეთის ინტერესების კონტექსტში დაისვა: **„სამწუხაროდ, ხშირად ხელისუფლების მხრიდან არ ხდება დაგმობა იმ განცხადებებისა, რაც კოალიციის წარმომადგენლების მხრიდან კეთდება და რაც აშკარად შეიცავს რუსულ პროპაგანდას და რუსულ რიტორიკას“.**

პრორუსული პროპაგანდის შემცველ გამონათქვამებში არასამთავრობო ორგანიზაციები გულისხმობენ, მაგალითად, უმრავლესობის დეპუტატ გოგი თოფაძის ნატოს წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებს. ევროპული დემოკრატისთვის შეუსაბამოდ სახელდება ფაქტი, რომ არასამთავრობო სექტორი არცთუ იშვიათად ხდება უსაფუძვლო და უსამართლო თავდასხმის სამიზნე ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დამაზიანებელ ფაქტორებზე საუბარი ევროპელმა მინისტრებმა ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენლებისგანაც მოისმინეს. მაგალითად, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ აღნიშნა, იმის გარდა, რომ რუსეთი კვლავაც უქმნის რეალურ საფრთხეს საქართველოს, ასევე შეინიშნება „პროდასავლური კურსის ეროზია“ საქართველოში და, ამასთან, „რეალურად დამძიმდა“ მდგომარეობა ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა თუ პოლიტიკური დევნის თვალსაზრისით.

ევროპელი მინისტრები პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდნენ.

ლელა კუნჭულია

◎ მოსაზრება

ყველა ჩვენი კომერციული ბანკი ბედნიერია ერთნაირად, ყველა მეწარმე „უბედურია“ სხვადასხვანაირად

2015 წლის 17 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ ლევან ქიძინიძესთან — „ვინ, რატომ და როგორ უშლის ხელს მეწარმეების განვითარებას და ხალხის დასაქმებას?“ გაზეთის რედაქციამ ივალდებულა გაზეთის ფართი დაუთმოს ყველას, ვისაც სურვილი გაუჩნდება გამოეხმაუროს გამოქვეყნებულს. ჰოდა, ჩემს მეგობრებთან ერთად ვსარგებლობ ამით.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ლევანი 1995-99 წლებში ყოფილა საქართველოს პარლამენტის წევრი და ეკონომიკაში „თამაშის წესების დამკვიდრებაში მასაც დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ბატონ ლევან ქიძინიძეს ხუთი დღის გახსნილ ქარხანაში შეუძენია მინის ქილები პროდუქციის დასაფასოებლად და დღგ არ გადაუხდია, რის გამოც საგადასახადო სამსახურს დაუყადაღებია ქარხანა და პროდუქციის რეალიზაციის უფლება არ მიუცია.



როგორც ვხედავთ, დღევანდელი ხელისუფლება იცავს კანონს და ამომრჩევლებისთვის მიცემულ დაპირებებს.

ის ფაქტი, რომ ბატონმა ლევან ქიძინიძემ მოიძია საჭირო რაოდენობის ფულადი სახსრები, ქარხანა ააშენა, გამოუშვა კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რეალიზაცია კი ვეღარ შეძლო, ამიტკიცებს იმას რომ საქართველოში მეწარმეებს მხოლოდ მისი წარმოებისთვის დამახასიათებელი პრობლემები ექმნებათ, ე. ი. ყველა მეწარმე „უბედურია“ სხვადასხვანაირად.

სამაგიეროდ, საქართველოში ყველა ბანკი ბედნიერია ერთნაირად. ისინი ყოველი წლის ბოლოს, ლარის გაუფასურებით მილიონობით მოგებას იღებენ, მაგრამ მარტო ამით როდი კმაყოფილდებიან. როგორც საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვეთ, „თი-ბი-სი ბანკმა“ ჰესების მშენებლობაში ჩადო 150 მლნ ლარი.

ჰესების მშენებლობა, ელექტროენერგიის ექსპორტი, დიდი ხანია განიხილება დოლარის შემოდინების მთავარ საშუალებად და ამ ამბავს ჩვენ, ამ დარგის სპეციალისტები, უნდა მივსალმებოდით. მაგრამ ვიცით რა დარგში შექმნილი მდგომარეობა და კომერციული ბანკების მუშაობის სტილი, ვამტკიცებთ, რომ მათ მიერ აშენებული ჰესებიდან არც ერთი არ იმუშავებს (თუ იმუშავებს ერთი ან ორი წლით, ისიც მხოლოდ აპრილის თვეში). ეს არის ბიზნესის ხელშეწყობა ქართულად, რასაც მომავალში დანაშაული დაერქმევა.

რამდენად შეუწყო ხელი ლარის გაუფასურებას 150 მლნ ლარის ასეთმა ხარჯვამ?

ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით საინტერესოა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის კვირიკაშვილის პოზიცია. იგი წლევანდელი 22-24 მარტის „კვირის პალიტრაში“ წერს: „თავისუფლება, რომელიც დღეს აქვს ბიზნესს, დროთა განმავლობაში შედეგს მოიტანს“... „ძველ ნიშნულზე ლარის კურსის დაბრუნებას გამოვრიცხავ“... „შესაძლოა, ზაფხულში დასტაბილურდეს ვითარება და ლარი გამყარდეს, თუმცა, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლების მისაღწევად რა იქნება უკეთესი — არ დავუშვათ ლარის გამყარება, იმავე დონეზე დავტოვოთ თუ სხვა, ამას ეროვნული ბანკი გადაწყვეტს“.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ლარის გაუფასურების შესაჩერებლად საზღვარგარეთიდან გადმორიცხვების მნიშვნელოვანი გადიდება მოითხოვა. გამოდის, რომ, რადგან საზღვარგარეთ წასულთა გადმორიცხვები საკმარისი არ არის, განდევნილთა რაოდენობა უნდა გაორმაგდეს და გასამმაგდეს?

თუ ეკონომიკაში ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში მოხდება ის, რაც ჩვენთვის მაგალითად ქცეულ ლიტვაში მოხდა: ლარი გამყარდება. ქვეყნის მაღალი ინტელექტის მოქალაქენი საზღვარგარეთ წავლენ, ლარს გავაუქმებთ და სხვა ანტისახელმწიფოებრივ ღონისძიებებს გავატარებთ... მაშინ ვის რაში დასჭირდება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის ინსტიტუტები?

ლარს მნიშვნელოვნად გააუფასურებდა უფასო ხვნა, სასუქისა და სასოფლო ინვენტარის დარიგება, მაგრამ ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჭირნახულის რაოდენობა და დღეს ფასები არ მომატებულა საქართველოში მოყვანილ არცერთ სასოფლო პროდუქტზე, ხოლო ზოგიერთზე მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ღონისძიებამ ქვეყანა გადაარჩინა გაღატაკებას. ამავე დროს, რადგან ფასები სასოფლო პროდუქციაზე არ გაიზარდა და ბევრზე შემცირდა, ე. ი. არ გაიზარდა მშპ, არ მოხდა „ეკონომიკის ზრდა“. გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, მაგრამ არ მოხდა „ეკონომიკის ზრდა“ — სად არის აქ ლოგიკა?

„ქართული ოცნების“ ბევრი ეკონომიკური მრჩეველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ქვეყანაში სისტემური ცვლილებები, მაგრამ სად და როგორი ცვლილებებია საჭირო, ვერავინ ამბობს (არც პოლიტიკოსები მისცემენ ვინმეს ამის თქმის უფლებას).

ჩვენი აზრით, ჰაერივითაა საჭირო რაიონებში დამკვიდრდეს და იფუნქციონიროს პარტია „ქართული ოცნების“ რაიონულმა ორგანიზაციებმა თავიანთი საწევრო შენატანების ხარჯზე. ასეთი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად დაეხმარება პარტიას სისტემური ცვლილებების გატარებაში, კადრების შერჩევაში, საკრებულოს მიერ მიღებული გეგმების შესრულებაში, კორუფციის მინიმუმამდე შემცირებასა და მის გაქრობაში, საგარეო პოლიტიკაში ეროვნული ინტერესების გათვალისწინებაში და სხვა. თუ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნება სურს, ქვეყნის მართვაში უნდა ჩააბას გაცილებით მეტი მხარდამჭერი ხალხი.

ნუგზარ კობახიძე,
ბოლნისი

მთელი საქართველო ევროპაში რომ გაიკრიფოს?!

სულ ახლახან შვეიცარიის ლოზანაში გაფორმდა შეთანხმება, რომელიც უმალ მოინათლა „ისტორიულად“.

სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების წყალობით, სიტყვა „ისტორიულმა“ ისეთივე დევალვაცია განიცადა, როგორც ლარმა. არადა „ექვსეულისა“ (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) და ირანის ისლამური რესპუბლიკის 12-წლიანი მოლაპარაკების ნახევარფინალი (ფინალი ა.წ. ივნისის ბოლოს გაიმართება), მართლაც ისტორიული მიღწევა იყო.

ირანი ვალდებულებას იღებს, შეამციროს ურანის გამდიდრება, დასავლეთი კი მზადაა, მოუხსნას მას ეკონომიკური სანქციები. ეს არის მოკლე შინაარსი იმისა, რამაც ლოზანის შეთანხმება ისტორიულად მონათლა.

ახლა კი დეტალები. ირანის ბირთვული კვლევის პროგრამა მრავალი წლის განმავლობაში თავსატეხად ჰქონდათ აშშ-ს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და, რაც მთავარია, ისრაელს. მაინც რა იწვევდა თავის ტკივილს, რით იყო გამოწვეული შიში?

ირანის მიერ ურანის გამდიდრების ტემპი და რაოდენობა გახდა შიშის საბაბი. ირანმა, რომელმაც, ბირთვული ელექტროსადგურისა და მედიცინისთვის, ხელი მიჰყო ურანის გამდიდრებას, იმ 5%-იან ბარიერს გადააჭარბა, რომელიც საკმარისია აღნიშნული კვლევებისთვის. გაზრდილ პროცენტებში აშშ-მა, ისრაელმა და სხვა ქვეყნებმა ბირთვული ბომბის შექმნის საშიშროება დაინახეს.

არადა ირანის მიერ ურანის გამდიდრების მაჩვენებლები გაცილებით ჩამოუვარდებოდა ბირთვული ბომბის შექმნისთვის საჭირო მონაცემებს (90%). ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შემოწმების შედეგად, გაჩნდა ეჭვი, რომ ირანი, მედიცინისა და ენერგეტიკისთვის საჭირო გამდიდრებულ ურანზე გაცილებით მეტს ამდიდრებდა. ირანის ხელისუფალთა მტკიცება, რომ საერთაშორისო ნორმების მოთხოვნების ჩარჩოებში აწარმოებდა ბირთვულ კვლევებს, საეჭვო გახდა. განსაკუთრებული განგაში ისრაელმა ატეხა.

ბირთვული ირანის ავტორიტეტი ერთი-ორად გაიზრდებოდა. რაც შეეხება ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნებს, რომელთა შემადგენლობაშიც (აღიარების გარეშე) ისრაელიც შედის, თავისებური ეგოისტური მიდგომა აქვთ ამ საკითხისადმი - მარტო ჩვენ და სხვას არა. გარდა ამისა, მათ აფრთხობთ ისიც, რომ ბირთვულიარაღიანი ირანი მიბაძვის მაგალითი შეიძლება გამხდარიყო სხვა ქვეყნებისთვის. და რომ ეს არ მომხდარიყო, გაეროს უშიშროების საბჭომ, აშშ-მა და ევროკავშირმა ცალ-ცალკე დააწესეს სანქციები ირანის წინააღმდეგ, რამაც საკმაოდ სერიოზული ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები შეუქმნა ქვეყანას.

დაახლოებით ასეთი ვითარება იყო შექმნილი ლოზანამდე. რაზე შეთანხმდნენ ლოზანაში? სიტყვა „შეთანხმება“ შემთხვევით არ მიხსენებია, ვინაიდან „ექვსეულისა“ და ირანის ხელშეკრულებას ხელი ივნისის ბოლოს მოეწერება, თუკი ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ლოზანის შეთანხმებაშია აღნიშნული. ლოზანიდან დაწყებული ა.წ. ივნისის ბოლომდე ტექნიკური ჯგუფები იმუშავებენ და დეტალებში განიხილავენ ყველა საკითხს. მოხდება „მაგატეს“ მიერ ირანის ბირთვული კვლევის ობიექტების შემოწმება და ა.შ.

ლოზანის შეთანხმებით, ირანი მზადაა, დააწყობოს „ზედმეტი“ ცენტროფუგები და ურანის გასამდიდრებელი მოწყობილობა და დაუქვემდებაროს ისინი „მაგატეს“ კონტროლს. ირანის ურანის გასამდიდრებელი სიმძლავრეების ორი მესამედი დაკონსერვდება მომავალი 10 წლით. გარდა ამისა, ირანი ვალდებულებას იღებს ურანის გამდიდრების დარჩენილი პროგრამის (5%-მდე) მუდმივ მონიტორინგზე „მაგატეს“ მხრიდან, 25 წლის განმავლობაში. ნაცვლად ამისა გაეროს უშიშროების საბჭო, აშშ და ევროკავშირი დაიწყებენ ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებას.

ლოზანის შეთანხმება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ გადაილახა 36-წლიანი უნდობლობა, რომელიც შეიქმნა ირან-აშშ-ს შორის ირანის შაჰის რეზა ფეჰლევის ჩამოგდების, ირანის ისლამური რესპუბლიკის დაარსების და თეირანში მეამბოხეთა მიერ აშშ-ის საელჩოს ხანგრძლივ ალყაში მოქცევის შედეგად.

ირანის რევოლუციას თუ ვინმე გამოეხმაურა ნეგატიურად, აშშ იყო. 36 წლის განმავლობაში რას არ მიმართა აშშ-მა და მისი მოწოდებით მოკავშირე ქვეყნებმა, რომ ახალგაზრდა ისლამური სახელმწიფო მოეხრჩო. იყო არა მარტო ღია სახელმწიფოებრივი ტერორი ირანის წინააღმდეგ, არამედ ფარულიც. და როდესაც ამით ვერაფერს გახდნენ, დაიწყო მკაცრი ეკონომიკურ-ფინანსური სანქციების შემოღება. მიზანი სანქციებისა იყო ერთი – ირანელთა სოციალური ყოფის გაუარესება და აქედან გამომდინარე, ხალხის ქუჩაში გამოყვანა არსებული მმართველობის დასამხობად.

არ გამოვიდა. ირანმა გაუძლო ეკონომიკურ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ზეწოლას და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, განავითარა მრეწველობა, მათ შორის სამხედრო, სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, მეცნიერება, განათლება, ბირთვული ენერგეტიკა.

ახალგაზრდა ირანის გამოცდა იყო დასავლეთის მიერ წაქეზებული სადამ ჰუსეინის ერაყის ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება. 8 წლის განმავლობაში ებრძოდა აიათოლა ჰომეინის მიერ შექმნილი ისლამური რესპუბლიკა ერაყს და ერაყის დამხმარე აშშ-ს, სხვა ქვეყნებს.

ირანმა გაუძლო გამოწვევას. თანამედროვე ირანი, რეგიონში ყველაზე სტაბილური სახელმწიფო, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, სუვერენული ქვეყანა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთში. ის მოკავშირეა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის, პალესტინის ორგანიზაცია „ჰამასის“, ლიბანის ორგანიზაცია „ჰესბოლას“, ერაყის დღევანდელი შიიტური ხელისუფლების, იემენის. აქვს მეგობრული დამოკიდებულება რუსეთთან, ჩინეთთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, სხვა ქვეყნებთან.

ირანის ისლამური რესპუბლიკა ებრძვის ტერორიზმს და აქედან გამომდინარე, „ალ-ქაიდას“, მის ფილიალებს, „ისლამურ სახელმწიფოს“. ირანი მხარს უჭერს პალესტინელი ხალხის მისწრაფებას, შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამ პოზიციით უპირისპირდება ისრაელს.

ჰყავს თუ არა ლოზანის შეთანხმებას მოწინააღმდეგეები?

ცხადია, ჰყავს – აშშ-ის კონსერვატორების სახით; ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნეთანიაჰუს, სხვა „ქორი“ პოლიტიკოსების სახით; თურქეთის, საუდის არაბეთის, ზოგიერთი არაბული ქვეყნების სახით; თვით ირანის კონსერვატული ძალების სახით. ეს უკანასკნელნი მიიჩნევენ, რომ ლოზანა წამგებიანია ირანისთვის. ანალოგიურს აცხადებენ აშშ-ის ნეოკონსერვატორები. ისრაელი კი თვლის, რომ ირანმა მოიგო, შეინარჩუნა რა ურანის გამდიდრების შანსი.

მაგრამ ისრაელს ირანის ბირთვული იარაღი ნაკლებად აშინებს. მას ახალ პოლიტიკურ ძალთა ცვლა აშინებს, რომელიც ლოზანას შეიძლება მოჰყვეს, აშშ-ის მხრიდან. მაინც რა ცვლა შეიძლება მოხდეს?

უპირველეს ყოვლისა, ირანთან ურთიერთობის ჩამოყალიბება, რამაც ძირფესვიანად შეიძლება შეცვალოს ძალთა ბალანსი რეგიონში. თუ აშშ საერთო ენას გამოძებნის 80-მილიონიან ირანთან, ისრაელის აზრით, მის მიმართ განელდება ამერიკის ინტერესი და ის დაკარგავს ახლო აღმოსავლეთში „სტრატეგიული პარტნიორის“ სტატუსს. ანალოგიური შიში აქვს საუდის არაბეთს, თურქეთს. ირანთან ურთიერთობის აღორძინებით, განმტკიცდება აშშ-ის სტრატეგიული მიზნები ახლო აღმოსავლეთში, კასპიის ზღვის ქვეყნებში, რუსეთ-ჩინეთის მიმართულებით.

ლოზანა ახალი ამერიკული პროექტის დასაწყისიც შეიძლება გახდეს, რაც რუსეთისთვის არცთუ სახარბიელო იქნება. ჯერი ირანზეა და ვევაშიც კი ნებისმიერ ქვეყანას, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად ერთობ სუსტს, როგორიც საქართველოა, მჭიდრო კავშირები უნდა ჰქონოდა ირანთან – გამოეყენებინა მის მიერ შემოთავაზებული ინვესტიციები, სხვადასხვა დარგში, ხელი შეეწყო საქმიანი კონტაქტების გაღრმავებისთვის. მაგრამ, საწინააღმდეგოდ ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ სხვა ნაბიჯი გადადგა, რითაც კოჭი გაუგორა აშშ-ს და ევროკავშირს. მაგრამ ეს გაგორებაც ხომ ჩამორჩენილი აზროვნების, პოლიტიკის ნაყოფია?

საქმე ირანთან (სხვა ქვეყნებთანაც) სავიზო რეჟიმის შემოღებას ეხება, ნაცვლად ორი წლის წინათ არსებული თავისუფალი მიმოსვლისა. სავიზო რეჟიმის შემოღებას უმალ მოჰყვა, ირანელთათვის საბანკო ოპერაციების აკრძალვა, ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვა და მინიმუმამდე დაყვანა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ახალმა კანონმა თუ ვინმეზე იმოქმედა ძალიან ცუდად – საქართველოა. მაინც, როგორ უნდა მოახერხოს ქვეყნის ხელისუფლებამ და მიღებული კანონით ისე გააუარესოს მდგომარეობა, რომ ეკონომიკა დააქციოს, ლარის კურსი გააცამტვეროს და ამით მოსახლეობის სოციალური პირობები გაუსაძლისი გახადოს.

ექსპერტები აცხადებენ – თუ რამე უშველის ქვეყნის ეკონომიკას, საწარმოების შექმნა, ტურიზმის განვითარება და ინვესტიციებია. ამას წინათ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში დაზარალებული ტურ-ოპერატორები აცხადებდნენ, რომ საზღვრებზე ვიზების გაცემის აკრძალვამ, სავიზო რეჟიმის დაწესებამ იმ ქვეყნებთან, საიდანაც ტურისტების დიდი ნაკადი შემოდიოდა, თითქმის ნოლზე დაიყვანა უცხოელთა შემოსვლა და დიდი პრობლემები შეუქმნა მათ მუშაობას.

შემდეგ მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის აღსარება, დაშვებულ შეცდომასთან დაკავშირებით და ბოდიში იმ ქვეყნების მოსახლეობის მიმართ, ვისაც პრობლემები შეექმნათ, დაპირება იმისა, რომ საქმეს სასწრაფოდ გამოასწორებენ. მოვისმინეთ ყოფილი პრემიერის ივანიშვილის განცხადებაც, რომელმაც ამ საქმეში საგარეო უწყება დაადანაშაულა. პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილმა - ირანში ოფიციალური ვიზიტის დროს, განუცხადა შეწუხებულ მასპინძლებს, რომ შეცდომას გამოასწორებდა და ა.შ.

და როდესაც გვეგონა, რომ ხელისუფლება გონს მოეგო და თავისი შეცდომის გამოსწორებას შეუდგებოდა, უცბად (ისიც „მაესტროს“ ეთერში) იუსტიციის მინისტრის წულუკიანის „ღრმადშინაარსიანი“ განმარტება – დაახლოებით ასეთი შინაარსის: არც არაფერს შევცვლით, ვინაიდან ევროკავშირმა გვითხრა ყველაფერი კარგად გააკეთეთო.

არადა ევროკავშირის წარმომადგენელი ამბობს, ჩვენ რა შუაში ვართ სავიზო რეჟიმთან თქვენსა და სხვა ქვეყნებს შორის, ეს თქვენი გადასაწყვეტია და არა ჩვენიო. ევროკავშირის წარმომადგენლის ამ ნათქვამს, წულუკიანის განმარტება მოჰყვა - ეს კი თქვა მან, მაგრამ ყურში საწინააღმდეგო ჩამჩურჩულაო და საერთოდ თუ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გვინდა, ირანთან, ერაყთან, ჩინეთთან, სხვა ქვეყნებთან მკაცრი სავიზო რეჟიმი უნდა დავაწესოთო. ასე მოიქცა მოლდოვა და ამიტომაც უკვე მიიღო ევროპასთან უვიზო მიმოსვლაო და ა.შ.

მინისტრის ნათქვამმა სერიოზულად დამაფიქრა და რატომ? აშკარად გამოჩნდა მისი პოლიტიკური სიმწირე და რაც მთავარია, დიპლომატიური სიმსუბუქე. სავიზო პოლიტიკა კი - საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მას საგარეო უწყება უნდა არეგულირებდეს და არა იუსტიციის სამინისტრო.

სამწუხაროდ, ეს ამბავი არც საგარეო სამინისტრომ იცის და არც იუსტიციის სამინისტრომ, მით უმეტეს მთავრობამ. სავიზო საკითხებში და უცხოეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხში წარმმართული ძალა საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს და არა სხვა უწყება. მაგრამ, როდესაც სამინისტროს, წლების განმავლობაში, უმეცრები მართავდნენ, უარესი რომ არ მოხდა, ის არის გასაკვირი.

„უძაღლო ქვეყანაში, კატებს აყეფებენო“ – ასეა წულუკიანისა და ამ ქვეყნის ამბავი. თუ პრემიერი თვლის, რომ მისმა მთავრობამ შეცდომა დაუშვა და უნდა გამოასწოროს, ხოლო რიგითი მინისტრი აცხადებს, რომ არაფერია გამოსასწორებელი, გამოდის, რომ პრემიერის დავალება არ სრულდება.

მინისტრი, რომელიც დავალებას არ ასრულებს, სამსახურიდან უნდა იქნას დათხოვნილი და არა მარტო იმიტომ, რომ შეცდომაში შეიყვანა მთავრობა და პარლამენტი, პრობლემები გაუჩინა სავიზო რეჟიმში მოხვედრილ ქვეყნებს, არამედ საკუთარ სამშობლოს (თუკი საქართველოს წულუკიანი თავის სამშობლოდ თვლის), რამაც ჩამოშალა ლარი, გააძვირა ყველაფერი და უპირველესად, კვების პროდუქტები, გააუარესა ქვეყნის სოციალური მდგომარეობა და ასეთ დროს ევროკავშირის მოშველიება - იმათ დაგვავალესო - გამხეცებული ხარისთვის, წითელი ნაჭრის აქნევის ტოლფასია.

წულუკიანმა მოლდოვის მაგალითი მოიშველია – იმას უკვე აქვს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთანო, რაც დიდად სამაგალითო საქართველოსთვის არ არის. მოლდოვაში რუმინეთმა რახანია რუმინული პასპორტები ჩამოურიგა მოსახლეობას, რაც გაითვალისწინეს მოლდოველთათვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის დაწესების დროს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, როგორ იხილავს მინისტრი და საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის თემას.

ეს საკითხი ერთობ საკამათო და საზიანოა მცირემოსახლიანი საქართველოსთვის და იმის მაუწყებელი, რომ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ არსებულ ძალებს აინტერესებთ ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობისგან დაცლა. მკაცრი სავიზო რჟიმის შემთხვევაში თუ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ლეგალური თუ არალეგალური გზით მოახერხა უცხოეთში გადახვეწა, უვიზო მიმოსვლის შემთხვევაში ხომ მთლად დაიცლება საქართველო.

ამ „კეთილშობილური“ საქმის მოთავე „კეთილი“ ევროპელები არიან და მათი დავალებების შემსრულებელი ქართველი მინისტრები, რომლებიც ევროკავშირს „გვაყვარებენ“ ყოველდღიური ჩიჩინით - ნახეთ, უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას გვაძლევენ და რა კარგები არიანო.

„მიმოსვლის“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი მიმართულებით რომ გაიკრიფება დარჩენილი საქართველო, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ამ საქმეს ხელს საქართველოს ხელისუფლება უწყობს – შეგნებულად თუ შეუგნებლად (ალბათ ორივე ერთად), აი, ეს არის დასადგენი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲓᲐᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲐᲛᲓᲔ, ᲐᲜᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲨᲘ

ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲘ სამეგრელოსაც ეხება და აღნიშნავს, ზუგდიდში მოგვიწყვეს 300-კაციანი შეხვედრა, სადაც გვითხრეს, რომ „მეგრელებს არა აქვთ რესპუბლიკა... საქართველო ეწევა სამეგრელოს მოსახლეობის თვითმყოფადობის, სახის დაკარგვის პოლიტიკას მისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებად დაყოფის გზით, ცალკეულ რესპუბლიკებში, მაზრებში გადანაწილების გზით...“

ამ შეხვედრაზე მისთვის თურმე ვიღაცას ისიც კი უთქვამს: „ჩვენ დავხოცავთ მთელ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკას მიჰყიდა მეგრელი გლეხების ინტერესები“.

ალ. დაუშვილი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება მთლიანად ინსინუაცია იყოს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ კომისიას ან კადიროვს ვინმემ მართლაც რაღაც ინფორმაცია მიაწოდა, რაზეც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის მთელი მუშაობა მიუთითებს 1930-1933 წლებში.

კადიროვის წერილმა ქართველ კომუნისტებში დიდი აურზაური გამოიწვია. ამ წერილის შემდეგ აშკარად ალაპარაკდნენ „საქართველოში დიდმპყრობელური შოვინიზმის ელემენტების“ შესახებ. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს 20-იანი წლების მიწურულის პარტიულ ფორუმებსა და შეკრებებზე. ამ საერთო ფონმა, გარკვეულად წაახალისა მაფალუელები. ამიტომ ისინი უფრო აქტიურად ცდილობდნენ თავიანთი პოზიციები დაეცვათ თბილისში, ვიდრე ზუგდიდში.

სამეგრელოს ავტონომიისათვის ბრძოლის ახალი ტალღა 1929 წლის 31 მარტს დაიწყო, როცა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პლენუმზე ი. ჟვანიამ თავის მოხსენებაში მეტად შეფარვით დააყენა საკითხი დასავლეთ საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის ახალი პრინციპების შესახებ.

პლენუმმა მეორე საკითხიც განიხილა — „მეგრული ენის შესახებ“. ძირითადი მომხსენებელი ისევ ისაკ ჟვანია იყო. მან განმარტა, თუ რატომ დააყენა ზუგდიდის პარტორგანიზაციამ ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი: „იმიტომ, რომ ყველა ის გლეხებისათვის ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებინა, გავაგებინოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებასაც მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები“.

პლენუმზე ი. ჟვანიამ უდიერად მოიხსენია თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები, რომლებმაც 1925 წელს პროტესტი გამოთქვეს ზოგიერთის ცდის გამო, ბარიერი აღემართათ მეგრელებსა და დანარჩენ საქართველოს შორის და ქართული ეკლესია, რომელიც თავის დროზე წინ აღუდგა ცარიზმის მიერ ეკლესიაში მეგრულ ენაზე წირვის შემოღებას.

სიტყვის დასასრულ მან ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რომლებიც „უნდა გაითვალისწინოს თბილისმა სამეგრელოსთან დამოკიდებულებაში“: 1. სოფლის და თემის საბჭოებში საქმის წარმოება მეგრულ ენაზე; 2. მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მეგრულ ენაზე გამოცემა; 3. გამოიცეს გაზეთი მეგრულ ენაზე; 4. მოხდეს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია მოზარდ მოსახლეობაში მეგრულ ენაზე.

1929 წლის ივლისში საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობაზე მაფალუელებმა ძირითადი ყურადღება მეგრული ენის უფლებების დაცვის საკითხებზე გადაიტანეს, ამ ეტაპზე სამეგრელოს ოლქის, სამეგრელოს ავტონომიის საკითხი ჩრდილში მოაქციეს.

მაფალუელების პოზიცია ყრილობაზე სასტიკად გააკრიტიკა შამშე ლეჟავამ: „ჩვენ სუყველა ქართველები ვართ და ჩვენი ფუძე არის ქართული კილოკავი... მათ უნდათ, დაიწყონ ენით და შემდეგ ავტონომია მოითხოვონ.“

ალ. დაუშვილი გვაცნობს საქართველოს პრეზიდენტის არქივში მიკვლეულ ი. ჟვანიას მოსკოვში მოგვიანებით გაგზავნილ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ 1929 წელს სოჭში სტალინს შეხვდა და საუბრისას სამი საკითხი დააყენა: სამეგრელოს ოლქის ან საოლქო აღმასკომის შექმნა; მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა საგლეხო ლიტერატურის გამოცემა და სკოლის პირველ საფეხურზე სამეგრელოს რაიონში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება.

ი. ჟვანია წერილში ამტკიცებს, სტალინმა ყველა საკითხზე დადებითი პასუხი მომცაო. ოღონდ, სავარაუდოა, რომ სტალინი ი. ჟვანიას მხოლოდ საკითხის შესწავლას და პრობლემაში გარკვევას დაჰპირდა. ამაზე მიგვანიშნებს საქ. კპ(ბ) ცკ-ის მთელი შემდგომი საქმიანობა საკითხის მოსაწესრიგებლად.

სხვათა შორის, საქართველოს უახლესი ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა გიორგი ციციშვილმა გამაცნო ი. სტალინის ჯერ კიდევ 1925 წელს თბილისში გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგია.

1929 წლის ოქტომბერში საქ. კპ(ბ) ცკ-ის სამდივნომ გადაწყვეტილება მიიღო მეგრულ ენაზე გაზეთებისა და ბროშურების გამოცემისათვის საჭირო დოტაციის შესახებ.

ზუგდიდში დროს არ კარგავდნენ: შეუდგნენ საქმის წარმოების გადაყვანას მეგრულ ენაზე, აქტიური მუშაობა დაიწყო მეგრულ ენაზე გაზეთის გამოსაშვებად. პარალელურად გალის რაიონშიც მზადდებოდა „ყაზაყიში გაზეთის“ გამოცემა.

მაგრამ მოულოდნელად ი. ჟვანიას და მის ჯგუფს ზუგდიდში სერიოზული ოპოზიცია გაუჩნდა — სამაზრო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი ბოკუჩავა და მაზრის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე პერტახია დაუპირისპირდნენ. ისინი ი. ჟვანიას მაფალუელების წახალისებაში დებდნენ ბრალს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდნენ, მაფალუელები აგიტაციას ეწევიან სოფლებში ოლქის შექმნის სასარგებლოდ და გლეხობას უმტკიცებენ, ოლქის წინააღმდეგ ქმედება ნიშნავს უარყო სკოლების, საავადმყოფოების შენებაო.

დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო.

რაც დრო გადიოდა, ბრძოლის ლოგიკა ი. ჟვანიას სულ უფრო და უფრო ითრევდა და მის წერილებს სულ უფრო ანტიქართული ელფერი ეძლეოდა. 1931 წლის ნოემბერში იგი საქ. კპ(ბ) ცკ პირველ მდივანს ლ. ბერიას უგზავნის მიმართვას ორი ძირითადი მოთხოვნით: 1. შეიქმნას სამეგრელოს ოლქი იმ რაიონებიდან, რომლებშიც უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა; 2. ნება დაირთოს იმ რაიონებში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, ნაწილობრივ — მარტვილი, აბაშა) დაწყებით სკოლებში ისწავლებოდეს მეგრული ენა.

ამ პერიოდში ი. ჟვანიას მეორე სერიოზული ოპოზიცია გაუჩინა დარაიონების სისტემის დანერგვამ — ერთი მაზრის ტერიტორიაზე ოთხი (ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის) რაიონის შექმნამ. ახალმა პარტიულმა ლიდერებმა ი. ჟვანიას მორჩილებას თავი აარიდეს. მათ ხელს სულაც არ აძლევდათ ზუგდიდის ოლქში გათქვეფა. იმძლავრა ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი პატრიოტულმა გრძნობამაც.

ბრძოლა გაჭიანურდა. ი. ჟვანია დახურულ წერილს გზავნის სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროში და კვლავ ითხოვს სამეგრელოს ოლქის შექმნას ან საოლქო აღმასკომის დაშვებას, გაზეთებისა და ჟურნალების მეგრულ ენაზე გამოშვებას, სკოლის პირველ საფეხურზე მეგრულ ენაზე სწავლების ნებართვას.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა საბოლოოდ აევსო და 1933 წლის 14 თებერვალს ი. ჟვანია დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა.

ამის შემდეგ (1933 წლის აპრილში), ზუგდიდში დაიწერა დოკუმენტი ი. სტალინის, მ. კალინინის, ვ. მოლოტოვის სახელზე, რასაც მკვლევარი ალ. დაუშვილი მოღალატურს უწოდებს. აი, ერთი ნაწყვეტი წერილიდან: „მეგრელები ჯერ კიდევ არ ასიმილირებულან ქართველებთან და დიდხანს კიდევ არ ასიმილირდებიან, რადგანაც ქართული ენა თავსმოხვეულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად ჯერ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიერ, შემდეგ მენშევიკებისა და ახლა ზოგიერთი გავლენიანი კომუნისტის მიერ... ასიმილაცია აუცილებელი არ არის, რადგან ქართული ენა მონოპოლიური კარები არ არის, რომელიც მაღალი კულტურისაკენ წაიყვანს ამიერკავკასიის ხალხებს. განა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და სხვებს ხელი ეშლებათ მაღალ კულტურასთან ზიარებაში, თუკი ქართველებთან არ ასიმილირდებიან?“ ამის შემდეგ ავტორები აყალიბებენ ნაცნობ მოთხოვნებს.

იმჟამინდელმა საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ ქმედითი ნაბიჯი გადადგა (ამაში ლავრენტი ბერიას დამსახურება უდავოა) — მკაცრი ადმინისტრაციული ზემოქმედებით შეაჩერა საქართველოს ინტერესებისათვის მიუღებელი ტენდენციები, ხელი შეუწყო ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცებას (ქართული სკოლის სისტემის განვითარება, საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეებიდან ახალგაზრდების მიზნობრივი მიგრაცია ცენტრში და ა. შ.).

მცირედი გადახვევა. მკითხველს გავაცნობ ერთ საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც სერგო ბერია გვაწვდის (რაულ ჩილაჩავა „ლავრენტი ბერიას ვაჟი გვიამბობს“, 1992 წ. კიევი): „მამა გულგრილი არ იყო სამეგრელოსადმი, თავისი, როგორც იტყვიან, მცირე სამშობლოსადმი. იგი დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე მეგრულად ელაპარაკებოდა. ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. მამას აინტერესებდა კოლხების, ლაზების, მეგრელების ისტორია... საერთოდ მამაჩემი მეგრული სეპარატიზმის მოწინააღმდეგე იყო. მე კარგად მახსოვს ჭაღარაწვერიანი ისაკ ჟვანია, კაცი, რომელიც შეპყრობილი იყო სამეგრელოს ავტონომიის იდეით... იგი ჯიუტად ედავებოდა მამას, უმტკიცებდა თავის სიმართლეს, რაიმეს გაგონებაც არ სურდა სამეგრელოს ავტონომიის მავნეობაზე. როგორც ახლა ვფიქრობ, 50-იან წლებში შეთითხნილი „მეგრული საქმე“ დაიწყო ისეთი გულუბრყვილო, თავისებურად პატიოსანი და წესიერი ადამიანების პროვოცირებით, როგორიც ისაკ ჟვანია იყო...“

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, მაფალუს მოძრაობამ ისეთი დარტყმა მიიღო, რომ დიდი ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი ისმოდა. საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ მოძრაობის რეანიმაციას.

ᲐᲮᲚᲐ კი აფხაზი სეპარატისტების ჩაწოდებით უკვე პრაქტიკულად ხდება მეგრელთა „გამეგრელება“, ალბათ იმედოვნებენ, რომ გალი ამ „ახალი ეთნოსის“ სამჭედლო, საყრდენი პუნქტი გახდება.

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. № 67

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ავიაკომპანიებს უფლება ექნებათ, რეგულარული ფრენები რუსეთის 7 ქალაქში განახორციელონ, ხოლო რუსულ კომპანიებს — თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის მიმართულებით.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან იტყობინებიან, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებებს შორის ტექნიკური კონსულტაციები დასრულდა.

„როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციასთან რეგულარული საჰაერო მიმოსვლა 2006 წელს შეწყვეტილ იქნა ცალმხრივად და 2010 წლიდან ქვეყნებს შორის ხორციელდებოდა მხოლოდ ჩარტერული რეისები. 2014 წლის 27 ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციასთან რეგულარული საჰაერო მიმოსვლა განახლდა, თუმცა, მხოლოდ თბილისი-მოსკოვის მიმართულებით. 2014 წლის ბოლოსა და 2015 წლის დასაწყისში, თბილისში ორი ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრების შემდეგ, რომლებსაც ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს წარმომადგენელი, გაგრძელდა დამატებითი ტექნიკური კონსულტაციები შესაბამის საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებს შორის რეგულარულ საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონსულტაციები მიმდინარე კვირაში დასრულდა და მიღწეულ იქნა შეთანხმება ორ ქვეყანას შორის რეგულარულ საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე — ფრენის სიხშირეები, გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ა.შ“, — ნათქვამია განცხადებაში.

კონსულტაციების შედეგად, რეგულარული ფრენები შესრულდება ასევე ქვეყნებს შორის საავიაციო სფეროში მოქმედი ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულ პუნქტებს შორისაც. კერძოდ, ქართულ ავიაკომპანიებს უფლება ექნებათ, რეგულარული ფრენები განახორციელონ რუსეთის 7 ქალაქში — მოსკოვი, პეტერბურგი, სამარა, ეკატერინბურგი, სოჭი, როსტოვი და მინვოდი, ხოლო რუსულ კომპანიებს — თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის მიმართულებით.

◎ კვალი დროში

გლობალიზაციისა და კიბერნეტიკული ომის ხელოვნების ანალიტიკოსი

საძმის სიყვარული და ასეთი?

პატიოსნება და ასეთი?

ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის დაუოკებელი ზრუნვა და ასეთი?

უზადოდ მოჭირნახულებული წუთისოფელი და ასეთი?

შუა საუკუნეებიდან გადმოსულ რაინდს ჰგავს — დინჯს, ჭკვიანს, სულით და ხორცით ლამაზს, მტერთა მძლეველი ლაშქრის „გენერალს“.

გივი იასეშვილი ჩვენი დროის პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი გენერალ-ლეიტენანტია, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესებისთვის, ჯერ კიდევ უმწიფარ, გამოუცდელ ოფიცერთა გონებაში ქვეყნის დაცვის ნიჭის აღმოჩენისა და განვითარებისთვის.

რა დასამალია, რომ სამხედრო-პოლიტიკური სპეციალობის მცოდნენი დღეს თითზე ჩამოსათვლელი გვყვანან. გივი იასეშვილი მათ შორის ყოველმხრივ გამორჩეულია, რადგანაც ეს საკმაოდ დროული, მრავალჭირგადანახადი კაცი (18 აპრილს 75 წელი უსრულდება!) სიახლის გრძნობის, დღევანდელობის პრობლემებში წვდომის იშვიათი უნარით არის დაჯილდოებული.

მის გამოკვლევებსა და სამეცნიერო ნაშრომებში შერწყმულია წარსულის გამოცდილება და თანამედროვეობის მიღწევები. ბუნებრივია, თეორია უპრაქტიკოდ მკვდარია, ამიტომაც მისი, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორის ნაშრომები არავის ტოვებს გულგრილს — ყველა სტატია და გამოკვლევა შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ბატონმა გივი იასეშვილმა დიდი შრომა გასწია საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის ჩამოსაყალიბებლად. კარგა ხანია, ის თავადვე ხელმძღვანელობს ამ აკადემიას და ამასთანავე არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრი, ამ დარგის პირუთვნელი მკვლევარი და კეთილსინდისიერი კრიტიკოსი, ახალგაზრდების დამრიგებელი და მასწავლებელი.

აი, რას წერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კათედრის თავკაცი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი გენერალ-ლეიტენანტ გივი იასეშვილის საკვანძო სტატიის „გლობალიზაცია და კიბერნეტიკული ომის ხელოვნება“ შესახებ:

„სამეცნიერო სტატია უაღრესად საინტერესო, რთული და აქტუალური პრობლემის — გლობალიზაციის პირობებში კიბერნეტიკული ომის წარმართვისა და კიბერუსაფრთხოების სისტემის შექმნის კვლევას ეხება.

სტატიის დასაწყისში ავტორი საფუძვლიანად მიმოიხილავს ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების, პროფესორების ლ. ჩიქავას, ნ. ჭითანავას, ი. მესხიას, რ. აბესაძის, ს. პავლიაშვილის მოსაზრებებს სხვადასხვა საინტერესო მეცნიერულ პრობლემებზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე. შემდეგ სტატიაში გადმოცემულია სამხედრო ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის დახასიათება. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თანამედროვე ეტაპზე ამ დარგის განვითარებაში შეინიშნება თვისობრივად ახალი ტენდენცია, რომელსაც მეცნიერი „სამხედრო გლობალიზაციას“ უწოდებს. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს არის პრინციპული მნიშვნელობის მეცნიერული სიახლე. სტატიაში გაანალიზებულია „სამხედრო გლობალიზაციის ისეთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, როგორიცაა „კიბერნეტიკული ბრძოლის ხელოვნება“. სწორადაა შენიშნული ის გარემოება, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის თანამედროვე მიღწევები, რომელთა გამოყენება პირველ რიგში მიმდინარეობს სამხედრო სფეროში, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე აყენებს კიბერუსაფრთხოების მოქნილი და ეფექტურად ფუნქციონირებადი სისტემის შექმნის აუცილებლობას. ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები და სხვადასხვა დონეზე გასატარებელი ღონისძიებები.

გ. იასეშვილის სტატია მაღალ თეორიულ-მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, გამოირჩევა რთული და სადისკუსიო საკითხების მიმართ ორიგინალური მიდგომით და საინტერესოდ იკითხება.

ეს სტატია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მკითხველთა ფართო წრისათვის“.

* * *

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, 2009 წელს აკადემიკოსმა გივი იასეშვილმა გამოსცა წიგნი „სამხედრო მეცნიერებათა აკადემია“. მაშინ ამ სოლიდურმა ნაშრომმა მკითხველთა და მეცნიერ-ისტორიკოსთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ახლახან კი ამ წიგნს და მისი ავტორის საიუბილეო თარიღს გულწრფელად გამოეხმაურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე:

„18 აპრილს დაბადებიდან 75 წელი უსრულდება საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს სამხედრო-პოლიტიკური სპეციალობით, გენერალ-ლეიტენანტ გივი იასეშვილს. მისმა წიგნმა „სამხედრო მეცნიერების აკადემია“, 2009 წელს კონკურსში გაიმარჯვა და ავტორი გახდა საქართველოს მეცნიერების განვითარების ისტორიის საზოგადოების პრემიის ლაურეატი, მოიპოვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო მეცნიერების ტიტული და ვადაზე ადრე მიენიჭა მაღალი სამხედრო წოდება. წიგნი წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების სახელმძღვანელოს ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნებაში, ხოლო ამ წიგნის მეცხრე თავს რეკომენდაცია მისცეს ცნობილმა ქართველმა ეკონომისტებმა. ნაშრომის სახელწოდებაა „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების — კიბერნეტიკული ომის განვითარების სისტემური სინთეზით“.

მისი მრავალწლიანი თავდადება ქართული ეროვნული სამხედრო მეცნიერების ინფორმაციული და კიბერნეტიკული ბრძოლის სამხედრო ხელოვნების განვითარებისათვის საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, ტრადიციული პატრიოტიზმისა და მხედრული სულიკვეთების აღორძინებისთვის ნამდვილად სამაგალითო და მისასალმებელია.

ქართველ მეცნიერთა სახელით ბატონ გივი იასეშვილს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ ინტელექტუალურ მიღწევებს...

* * *

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ თავის მრავალათასიან მკითხველთა სახელით უერთდება ბატონ გ. კვესიტაძის მილოცვას და ამ ორიგინალურ მოღვაწესა და მეცნიერს საუკუნოვან მხნეობას, ჭირთა თმენას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს.

ცოტნე კახეთელიძე

◎ პროგლემა

სასამართლოს თავმჯდომარეებს მანტია ვერ ჩავაცვით...

რატომ არ იხილავენ მოსამართლეები საქმეებს?

მოსამართლის მიკერძოებულობასთან და სუბიექტურობასთან დაკავშირებით საზოგადოებას ხშირად გამოუთქვამს ეჭვები და რიგ შემთხვევებში მართებულადაც. ამჯერად შევეხებით საკითხს სასამართლოში საქმეთა განაწილების წესისა და პრაქტიკის თაობაზე, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური გახდა: ამ თემაზე ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ ორგანიზებით დისკუსია „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა...

მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ საქმეთა განაწილების საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული საზოგადოების ნდობასთან. ცივილიზებულ ქვეყნებში რიგითობისა და თანაფარდობის პრინციპით განაწილებას უკვე დიდი ხნის ტრადიცია აქვს, მაგრამ საქართველოში მას უამრავი ხარვეზი ახასიათებს, ამიტომაც „მოსამართლეთა ერთობამ“ კანონმდებლებს ახალი მოდელი — საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა შესთავაზა.

სასამართლოს თავმჯდომარეები ფაქტობრივად საქმეებს არ იხილავენ! — ასეთი პრეტენზია გახმიანდა კონფერენციაზე, რომელსაც ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ესწრებოდა.

„სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის პაკეტი მთავრობის სხდომაზეც წარმოადგინეს. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მასალა მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებს. მათ შორის საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონულ წესს. ამ საკითხზე მუშაობა გააქტიურდა, რათა შეიქმნას სრულყოფილი ელექტრონული სისტემა და დაცული იყოს მოსამართლეთა თანაბრად დატვირთვის პოზიცია“, — აღნიშნა ნინო გვენეტაძემ.

საერთო სასამართლოებში შემოსული საქმეების განაწილება ყოველთვის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა, როგორც უშუალოდ მოსამართლეებში, ისე საზოგადოებაშიც. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ამ საკითხის მომწესრიგებელი საგანგებო კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“, საქმეთა განაწილების არსებული სისტემა მაინც კითხვებს წარმოშობს.

„სტატისტიკამ აჩვენა, რომ საქმეთა არათანაბარი განაწილება ხდება. მაგალითად, თუ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ერთ მოსამართლეზე საქმეთა საშუალო წლიური რაოდენობა 496-ია, სასამართლოს თავმჯდომარის საქმეთა წლიური რაოდენობა კი 86. თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგალითზე ჩანს, რომ საქმეთა საშუალო წლიური რაოდენობა სამ მოსამართლეზე არის 373, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავჯდომარეს არც ერთი საქმე არ განუხილავს, სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს კი მხოლოდ 46 საქმის წარმოებაში მიუღია მონაწილეობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარეს 2013 წელს მხოლოდ ერთი საქმე აქვს განხილული, 2014 წელს — 24.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2013-2014 წლებში საქმეები განსახილველად არ გადაეცემოდათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, არც უზენაესი სასამართლოს სისხლის და ადმინისტრაციული პალატების თავმჯდომარეებს“, — ამბობს ბესიკ სივსივსაძე, „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ თავმჯდომარე.

„მოსამართლის უმთავრესი ვალდებულება საქმეთა განხილვაა, — აღნიშნავს მოსამართლე ნათია გუჯაბიძე, — თუმცა, ჩვენ რომ ამ კუთხით სერიოზული პრობლემები გვაქვს, თვალნათელია. ერთ მაგალითს მოგიყვანთ და მერე თავად განსაჯეთ. სააპელაციო სასამართლოში 10 წელიწადია, მოსამართლედ მუშაობს ქალბატონი (მუშა ფუტკარი). მან ორი მძიმე ოპერაცია გადაიტანა. იმის მიუხედავად, რომ 4-თვიანი საშეღავათო პერიოდი ჰქონდა, დროზე ადრე გამოვიდა სამსახურში ყავარჯნებით... ეს მაშინ, როცა ამავე სასამართლოს თავმჯდომარე საქმეებს არ იხილავს. ბოლოს და ბოლოს, სასამართლოს თავმჯდომარეებს მანტია ვერ ჩავაცვით, ეს რა სენია, ვერ გამიგია“.

იხ. 9 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ავტობუსის მძღოლებმა და მეტროს მემანქანეებმა გაფიცვა დროებით გადაიფიქრეს

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლები, მათ შორის ე.წ. ყვითელი ავტობუსის მძღოლები და მეტროს მემანქანეები ჯერჯერობით გაფიცვას არ აპირებენ.

ე.წ. ყვითელი ავტობუსის მძღოლმა ჯემალ ცერცვაძემ განაცხადა, მათ მოთხოვნებზე მერიისგან შემოთავაზება მიიღეს, რაზეც მოხდება განხილვა და თანამშრომლების უმრავლესობა გადაწყვეტს რა მოიმოქმედოს მომავალში. „მერიისგან მივიღეთ შემოთავაზება, რომ ჩაგვირიცხოს 100-100 ლარის ოდენობით პრემია. დღეს ან ხვალ დავილაპარაკებთ თანამშრომლები და მიმდინარე კვირაში მივიღებთ გადაწყვეტილებას დავთანხმდეთ ამ შემოთავაზებას თუ კვლავ პროტესტი დავგეგმოთ“, — განაცხადა ცერცვაძემ.

სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლები გაფიცვას 14 აპრილიდან აპირებდნენ. ისინი აპროტესტებდნენ თბილისის მერიის მხრიდან მათთვის პრემიების არ ჩარიცხვას. როგორც მძღოლებმა განაცხადეს, თბილისის მერიამ მხოლოდ სატრანსპორტო კომპანიას, დასუფთავების სამსახურსა და სინათლის ქალაქს არ ჩაურიცხა სააღდგომოდ პრემიები, ხოლო სხვა მერიის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომლებს პრემია ხელფასის 80%-იანი ოდენობით ჩაერიცხათ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

პანკისი „ისლამური სახელმწიფოა“: სახიფათო კავშირურთიერთობანი

2 მოსწავლე საქართველოს პანკისის ხეობიდან, რომლებმაც 2 აპრილს თავიანთი მახლობლებისაგან ფარულად დატოვეს ქვეყანა, სავარაუდოდ „ისლამური სახელმწიფოს“ საწვრთნელ ბაზაზე იმყოფებიან.

ახალგაზრდები საქართველოდან ჯიჰადისტებს უერთდებიან

ინტერნეტში გავრცელებულმა ფოტოგრაფიამ, რომელზეც ისინი წარმოსახული არიან სამხედრო ფორმაში და ხელში იარაღით „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ფონზე, დაადასტურა მათი ნათესავების ეჭვი, რომ სახლიდან გაქცეული 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილი და 18 წლის რამზან ბაღაკაშვილი გაემგზავრნენ სირიაში, რათა ჯიხადისტებს შეუერთდნენ. რამდენიმე დღის წინათ ორივე დაუკავშირდა თავიანთ ოჯახებს ტელეფონით და სთხოვეს მათ — ნუ იწუხებენ მათზე. როგორც მათ მახლობლებს აცნობეს, ამ ეტაპზე ისინი სამხედრო მომზადებას გადიან.

„მან თქვა, რომ მათ ეპყრობიან კარგად და რომ სხვა ქისტები მათთან არ არიან, თქვა, რომ იქ ყველა უცხოელია... მან თქვა რომ მათ აქვთ ყველაფერი, რაც ჯერჯერობით ომამდე არც უნახავთ, თქვა რომ, აი როგორ უბრალოდ სხედან ისინი იქ“, — აცნობა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რამზან ბაღაკაშვილის დედამ თინა მაჩალიკაშვილმა.

რუსეთის საზღვართან არსებული პანკისის ხეობა უმთავრესად დასახლებულია ეთნიკური ჩეჩნებით, ესე იგი, როგორც მათ საქართველოში უწოდებენ, „ქისტებით“.

როგორც მუსლიმ კუშტანაშვილის ბებია ამტკიცებს, ტელეფონით საუბრის დროს შვილიშვილმა მას უთხრა, რომ სურს, დაბრუნდეს სახლში და სთხოვა დახმარება ამაში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა რამდენჯერმე შეძლეს დაებრუნებინათ სახლში ის ადამიანები, რომლებიც საბრძოლველად სირიაში გაემგზავრნენ. 13 აპრილს ცნობილი გახდა, რომ საქართველოში დაბრუნდა 18 წლის პაკისტანელი ბესლან მარგოშვილი, რომელიც სახლიდან 12 იანვარს გაიქცა. თავად მარგოშვილმა უარი განაცხადა ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე, მაგრამ მისი მშობლების თანახმად, ბესლანი ვერც მოხვდა სირიაში და მთელი ამ დროის განმავლობაში თურქეთში იმყოფებოდა.

„უშიშროების საფრთხე“

პაკისტანის მცხოვრებლები თბილისისგან მოითხოვენ დახმარებას წასულების დასაბრუნებლად, აგრეთვე ზომების მიღებას სირიაში ახალგაზრდების გადინების შეჩერებისათვის. როგორც საქართველოს ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომლებმაც გასულ კვირას პანკისში რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყვეს, ბრალს სდებენ ქვეყნის ხელმძღვანელობას უმოქმედობაში. საჭიროა, რომ ხელისუფლებამ მიიღოს ზომები და დაამუშაოს „მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა“ და შეაჩეროს „რადიკალები“, რომლებიც ეწევიან ახალგაზრდების გაგზავნას „სამსხვერპლოზე“.

„თუ ასე გაგრძელდა და სახელმწიფო არ მიიღებს შესაბამის ზომებს, ხეობაში ახალგაზრდობა აღარ დარჩება, რაც პერსპექტივაში გენოფონდის საფრთხეს ქმნის, უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, რომ რუსეთი მუდმივად ახერხებს იმათით აპელირებას, რომ პანკისში ამზადებენ ტერორისტებს და თუ არ შეწყდება ახალგაზრდების გადინება, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს არა მხოლოდ ხეობის უსაფრთხოებას, არამედ მთელი ქვეყნისასაც“, — განუცხადა ჟურნალისტებს ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელმა მექა ხანგოშვილმა.

დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, 50-დან 100-მდე ქისტი მონაწილეობას ღებულობს ბრძოლებში სირიაში. მათ შორისაა — საქართველოს 28 წლის მოქალაქე თარხან ბათირაშვილი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით ომარ ალშიშანი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბათირაშვილი საერთაშორისო ტერორისტების სიაში შეიყვანა.პანკისის მცხოვრებლები ხეობაში ტერორისტული მოღვაწეობის პროპაგანდისტების ჯგუფის გააქტიურებას სწორედ თარხან ბათირაშვილის სახელს უკავშირებენ.

წინასწარი მონაცემებით, სირიაში 2014 წლიდან უკვე საქართველოს 11 მოქალაქე დაიღუპა. 10 მათგანი პანკისის ხეობიდან იყო.

აღსანიშნავია, რომ ის ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც სუფიზმის მომხრეებად ითვლებიან, აცხადებენ, რომ ხეობაში ძლიერდება სალაფიტების გავლენა — ესენი არიან კონსერვატიული ისლამისტები, რომლებსაც ისინი „ვახაბისტებს“ უწოდებენ. მათი მტკიცების თანახმად, ვახაბისტები ქირაობენ ახალგაზრდებს და აგზავნიან მას სირიაში.

პაკისტანელების პრეტენზიები ხელისუფლებისადმი, უწინარეს ყოვლისა, გაჩნდა იმის გამო, რომ 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილმა შეძლო, გადაელახა საზღვარი ამისთვის მშობლების აუცილებელი ნებართვის გარეშე. ხელისუფლებამ აღიარა, რომ კუშტანაშვილმა „შეძლო, გამძვრალიყო“ მესაზღვრეების გულგრილობის წყალობით. მაგრამ პანკისის მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ ეს ახსნა დამაკმაყოფილებელი არაა და მოუწოდებენ ხელისუფლებას, მაქსიმალურად გაამკაცრონ კონტროლი საზღვარზე, ასევე მიაქციონ მეტი ყურადღება ხეობის საჭიროებებს. პანკისელები ამტკიცებენ, რომ ის ფაქტი, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენიანი რამდენიმე საველე მეთაური არის მათი ხეობიდან გასული, სადაც უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია, რაც ამკაცრებს იმის რისკს, რომ ქისტი ახალგაზრდობა უკეთესი მომავლის საძიებლად და სხვა ალტერნატივების უქონლობის გამო, გახდება ადვილი მსხვერპლი ჯიჰადისტების დამქირავებლებისთვის.

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვა, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა უცხოეთის სახელმწიფოების უკანონო სამხედრო ფორმირებებში, ტერორისტული ორგანიზაციების წევრობა, აგრეთვე მოწოდებანი ძალადობისა და დაპირისპირების გაჩაღებისათვის, იქცევა სისხლის სამართლის დასჯის პირობად.

Voice of America

ქართველმა რეჟისორმა უკრაინელებს მოუწოდა, არ ენდონ სააკაშვილის ცრუვაჟკაცობას

ცნობილი ქართველი თეატრალური რეჟისორი რობერტ სტურუა მიიჩნევს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ცრუვაჟკაცობის წინაშე ძნელია, მყარად იდგე. მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გააკეთო, ვინაიდან იმპულსურ ქართველს, თავისი მეტად „პრანჭია“ ეროვნული თავისუფლებების გამო, ადვილად შეუძლია შექმნას „წარმატების“ ილუზია იქ, სადაც იგი არაა და არც ყოფილა. ამიტომ უკრაინელები არ უნდა შეცდნენ და იმედი არ უნდა იქონიონ იმ პოლიტიკოსის ყველა დაპირების შესრულების იმედი, რომლის მართვაც კატასტროფად იქცა საქართველოსთვის.

ამის შესახებ რობერტ სტურუამ თავის ინტერვიუში აცნობა კიევის პოპულარულ გამოცემას ორშაბათს. როდესაც „ვაი-პრეზიდენტის“ სააკაშვილის წარმატებების შესახებ ლაპარაკობდა, რეჟისორმა აღნიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა. თუმცა, ამავე დროს გაიხსენა, რომ ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ და მათზე ძალადობას ახდენდნენ.

„მე უკრაინელთა შეცდომად მიმაჩნია, გააკეთონ არჩევანი იმაზე, რომ სააკაშვილი დაეხმარება თქვენ ქვეყანას. ხელისუფლებაში მისი მოსვლა კატასტროფა იყო ჩვენთვის. ამ წლების განმავლობაში მილიონობით ადამიანი წავიდა ქვეყნიდან სამუშაოს საშოვნელად. ძირითადად ქალები, რომლებიც ეწყობიან ძიძებად, მომვლელებად და დღემდე აგზავნიან ფულს საზღვარგარეთიდან. საქართველო — ეს არა მხოლოდ სასტუმროებია სანაპიროზე ბათუმში და ათობით ახალი შენობა თბილისში. იმოგზაურეთ ქვეყანაში, დაათვალიერეთ სოფლები, იკითხეთ, როგორ ცხოვრობს ხალხი“, — აღნიშნა სტურუამ.

საუბრის დასასრულს, როდესაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ირონიულად მხოლოდ მიშას უწოდებს, რეჟისორმა გამოთქვა იმედი, რომ სააკაშვილი, რომელმაც ხელისუფლება დაკარგა, მაინც შეძლებს, შეიცვალოს უკრაინის წყალობით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამჟამად სათავეში უდგას უკრაინის რეფორმების საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს და კურატორობას უწევს ქვეყანაში იარაღის მიწოდების საკითხებს.

ხარკოვი, ნოვოსტნოე აგენტსტვო

დედამიწის ზურგზე

უკრაინაში ნახეს იულია ტიმოშენკოს დაკარგული „ტომრები სისხლის სამართლის საქმეებით“

ძებნა 5 დღე გრძელდებოდა. აღმოჩნდა, რომ ტომრები მასალებით იმყოფებოდა კიევში შინაგან საქმეთა სამინისტროს პეჩორის რაიონულ განყოფილებაში, სადაც ისინი მიიტანეს წესრიგის დამცველებმა მას შემდეგ, რაც „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლებს ჩამოართვეს ისინი. უკრაინის დეპუტატი მიიჩნევს, რომ ნახული დოკუმენტებით შეიძლება დაადგინო უკრაინის ექსპრემიერის სისხლის სამართლის დევნის „პრაქტიკულად ყველა მონაწილე“.

* * *

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა რუსეთს ბრალი დასდო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში

ესტონეთის პრემიერის ტაავი რიივასის აზრით, რომელიც მან ჰელსინკში პრესკონფერენციაზე წარმოსთქვა, მოვლენები უკრაინასა და საქართველოში 2008 წელს მოწმობენ იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ვითარება იცვლება. თუმცა, აღნიშნა მან, „ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანას ემუქრება საფრთხე“, თუმცა ესტონეთი „მზად უნდა იყოს, მოახდინოს რეაგირება ახალ გამოწვევებზე“.

* * *

ხაკერებმა შეიძლება შეუტიონ თანამედროვე თვითმფრინავებს პირდაპირ ჰაერში, ამტკიცებენ ექსპერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

საანგარიშო პალატის ანგარიში მიუთითებს კიბერსაფრთხეზე, რომელიც ემუქრება უახლეს ავიალაინერებს. ანგარიშის მონაცემებით, პილოტების კაბინების ზოგიერთ ელექტრონულ ელემენტს იყენებენ ურთიერთმოქმედებებისთვის იგივე კომუნიკაციები ანდა მონაცემებს უმავთულო გადაცემით, რომლითაც სარგებლობენ მგზავრებიც. და ეს შეუძლიათ გამოიყენონ ხაკერებმა.

* * *

სენატორებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს ირანთან დაკავშირებით, რომელმაც ობამა კანონმდებლებთან წააჩხუბა

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის უცხოეთის საქმეთა კომიტეტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კანონპროექტს, რომელიც აიძულებს პრეზიდენტს, წარუდგინოს კონგრესს განსახილველად ირანის ბირთვულ დოსიესთან დაკავშირებული მომავალი შეთანხმების ტექსტი. დიდი ხნის განმავლობაში პროექტი „განხეთქილების ვაშლი“ იყო კანონმდებლებსა და თეთრ სახლს შორის, მაგრამ მთელი რიგი შესწორებების შემდეგ ობამა აღარ იმუქრება, დაადოს მათ ვეტო.

◎ ჭამა მადის აღმძვრელია...

როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო



არც თუ ისე შორსაა, საკანონმდებლო ხელისუფლების მორიგი არჩევნები, როდესაც ქართველი ხალხი დააფიქსირებს, თუ რომელი პარტიის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას – საგარეო და საშინაო პოლიტიკას დაუჭერს მხარს. პარლამენტის მიერ არჩეული მთავრობა კი უნდა იყოს ხალხის ნების გამომხატველი, დამოუკიდებელი და არა მარიონეტული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელშიც ექვსი პარტია იყო გაერთიანებული. მის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა არარეალურმა დაპირებებმა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ საზოგადოების ერთ ნაწილზე ხელფასების სახით გაცემულმა მოწყალებამ. „მოწყალების მიღება, თავისუფლების გაყიდვაა“. „უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“. ხელისუფლებამ არჩევნები დემოკრატიულად ჩაატარა და კოალიციამ გამარჯვება იზეიმა.

ხალხს უნდა, რომ ახალი ხელისუფლება წინამორბედზე უკეთესი იყოს. წინა ხელისუფლებას შეცდომები ჰქონდა, მაგრამ კარგიც არაერთი გააკეთა. უშეცდომო, ერთადერთი, ქვეყნად არის მხოლოდ ღმერთი. არის შეცდომა, რომელსაც ზოგი უწოდებს დანაშაულს, რის პატიება შეიძლება. არის დანაშაული, რომლის პატიებაც დანაშაულია. პროკურატურა და პოლიცია იმიტომ არის, რომ დამნაშავე გამოავლინოს და დასაჯოს, მაგრამ პროკურატურა და პოლიცია არის არა იმიტომ, რომ უდანაშაულო დაადანაშაულოს და დასაჯოს. შინაური, რომელიც ქვეყნის სიკეთეზე და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მტერი არ არის. მეზობელი, რომელიც გავიწროებს, მოყვარე არ არის. ყოველი ხელისუფლება წინამორბედის მიმართ, გარკვეულწილად, აბსოლუტური უნდა იყოს.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ქვეყანას მისი კრეატურები მართავენ. საიდან იმართება და ვინ მართავს ქვეყანას, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, როგორ იმართება ქვეყანა. ჯერ მოაჭერი და მერე დაითვალეს მეთოდით არ უნდა იმართებოდეს ქვეყანა, „კურდღელი მირბოდა, მეორე კურდღელმა გააჩერა: რატომ მირბიხარ ასე გამწარებულიო, გზაზე მგლები დგანან, ყველა კურდღელს იჭერენ და ვისაც სამი ყვერი აქვს, აჭრიანო. მერე შენ სამი ყვერი გაქვსო? არა, მაგრამ ჯერ აჭრიან და მერე ითვლიანო“.

ამჟამინდელი ხელისუფლება უშეცდომო საგარეო და საშინაო პოლიტიკით ვერ დაიკვეხნის: ვერ გააანახევრა კომუნალური გადასახადები. ცუგცვანგში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, წინა ხელისუფლების მიერ დაანონსებული პენსიები 150 ლარამდე გაეზარდა. 2014 წლის ბიუჯეტში პენსიების გასაზრდელად ერთი თეთრიც არ გაითვალისწინა. აი, ხელფასებს კი მოუმატა, გააორმაგა. ოღონდ უფრო მეტი – დანამატების სახით ათეული მილიონობით ლარი გასცა. აფერუმ ხელისუფლებავ! ოღონდ ნათქვამია, ჭამე და სვი, მაგრამ ღარიბს ნუ დაივიწყებო!

ხელისუფლებამ წინამორბედის ლანძღვაში ბევრი დრო დახარჯა, ცაიტნოტში აღმოჩნდა და ვერ ასწრებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. „როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო“. დაჩრჩილებული დაპირებულის გამო რეიტინგი კლებულობს. შესაბამისად კლებულობს „ქართული ოცნების“ და კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების რეიტინგიც, თუმცა, იხტიბარს არ იტეხს, თავს იქებს – „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“. ეს შემოდგომა ხელისუფლებისთვის 2016 წელს დადგება. მაშინ დაითვლის ხალხი, განვლილ ოთხ წელიწადში, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გამოჩეკა მეტი წიწილა თუ წინა ხელისუფლებამ. ამისდამიხედვით დაუჭერს ხალხი მხარს თითოეულ მათგანს არჩევნებში.

ხელისუფლებამ რეპუტაციის აღსადგენად და სარეაბილიტაციოდ არ უნდა ითაკილოს შემოთავაზებული კარგი წინადადებები, თუნდაც ოპონენტიდან მომდინარე და ხორცი შეასხას მას. უნდა გააგრძელოს შეჩერებული მშენებლობები, განაახლოს მოდერნისტული ქალაქ-ნავსადგომ ლაზიკის მშენებლობა, რომელიც მაღლივი, ცათამბჯენი შენობებით იქნება განაშენიანებული, მიიღებს საოკეანო ხომალდებს, დედამიწის ყველა კუთხიდან მოიზიდავს ტურისტებს და დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რაც ხალხის კეთილდღეობაზე აისახება.

პარტია „ქართული ოცნების“ ზურგის გასამაგრებლად, ბატონი ბიძინა ივანიშვილი აყალიბებს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც პარტიად გადაკეთდება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსაყვანად მილიონებს არ დაიშურებს და მოინდომებს კიდევ ერთხელ დაანახოს ხალხს, რომ „ფული ჯოჯოხეთს ანათებს“.

პარლამენტში მოსახვედრად ბევრი პარტია იბრძოლებს. პაჭუა პარტიები უნდა გაერთიანდნენ, კოალიციები შექმნან. კოალიციების შექმნა არც დიდ პარტიებს აწყენთ. დაპირებები ყველა პარტიისგან იქნება. ამოქმედდება მთავარი – ნდობის ფაქტორი. ამომრჩეველი იმ პარტიას დაუჭერს მხარს, რომელსაც მეტი ნდობა ექნება. არჩევნები ხელისუფლებისთვის სასურველი გზით თუ არ წარიმართება და სხვადასხვა მაქინაციებით მოინდომებს ბიულეტენების ტოტალურ გაყალბებას, დაემართება ის, რაც შევარდნაძის ხელისუფლებას დაემართა. ცნობილია: „ღმერთს სამეული უყვარს“.

ოთარ შონია.

P. S. ვინც საქართველოს ნატოში გაწევრების წინააღმდეგია, ის ქართველ ხალხს უპირისპირდება. ორი წელია, ჟენევაში საკითხების მოსაგვარებლად მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება, მაგრამ მას ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანია. პირიქით, რუსეთი უფრო აგრესიული გახდა, იქმნება შთაბეჭდილება და ჩნდება ეჭვი, რომ რუსეთის წარმომადგენელი ბატონი გრიგოლ კარასინი, საქართველოს წარმომადგენელს ბატონ ზურაბ აბაშიძეს, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრად მოიაზრება, მითითებებსა და რჩევებს აძლევს, საქართველოს ხელისუფლებამ რა რეაგირება მოახდინოს რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე, მაგალითად: საოკუპაციო ზოლის გასწვრივ ასობით ჰა ტერიტორიის მიტაცების და მავთულხლართების გამართვისას, ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა მხოლოდ მხრები აიჩეჩონ; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებულ რესპუბლიკებთან მოკავშირეობის ხელშეკრულების დადებისას, მხოლოდ გაოცება გამოთქვან, შუბლზე ხელები ირტყან, რუსეთ-უკრაინის ომზე, პირში წყალი ჩაიგუბონ და ა. შ. ჟენევის მოლაპარაკებები უნაყოფო შრომაა. ტვინი ავამუშაოთ და ხელი გავანძრიოთ. ღმერთმა თქვა: „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“.

გერმანიისა და საფრანგეთის მეთაურები კარგი მეკვლეები, მედიატორები ვერ გამოდგნენ. ასე იყო 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ასე იყო 2014 წელს, რუსეთ-უკრაინის ომის დროს, – რუსეთმა არ შეასრულა მოსკოვისა და მინსკის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებები. სანქციები, რომელიც დასავლეთმა დაუწესა რუსეთს, პატიებას უფრო ჰგავს, ვიდრე დასჯას. „აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო“. რუსეთის მიმართ უნდა გატარდეს რეიგან-ტეტჩერის პოლიტიკა. „გაიძვერას მალამოს წაუსვამ და გიჩხვლეტს, უჩხვლეტ მას და მალამოს წაგისვამს“.

ის, რომ, რასაც რუსეთი სჩადის საქართველოსა და უკრაინაში, შორსაა დასავლეთ ევროპის საზღვრიდან და მას მსგავსი არაფერი არ ემუქრება, მცდარი შეხედულებაა.

საქართველო ევროპისთვის არის პერიფერია, მაგრამ რუსეთმა რომ მიიტაცოს, მისთვის არაფერია!? იმპერიული რუსეთი ომის გამჩაღებელია, – ვიეტნამი, ავღანეთი, საქართველო, უკრაინა – არ გეგონოთ სულ ეს იყოს. ეს ბოლოდროინდელია. მისი დანაშაულები უამრავი, უთვლელია. არავინ იცის მისი მსხვერპლი შემდეგ რომელია. დროზე უნდა შევაჩეროთ, ჭამა მადის აღმძვრელია.

ო. შ.

◎ პროგლემა

სასამართლოს თავმჯდომარეებს მანტია ვერ ჩავაცვით...

(მეშვიდე გვერდიდან)

არ არის არც ერთი ევროპული ქვეყანა, სადაც მსგავსი ფაქტი ხდებოდეს, აღნიშნავენ მოსამართლეები. მენეჯმენტის ცოდნას აბსოლუტურად სხვა უნარ-ჩვევები სჭირდება, მაგრამ თუკი სასამართლოს თავმჯდომარეები სამოსამართლო საქმიანობას არ ახორციელებენ, მაშინ რა საჭიროა იყვნენ მოსამართლეები? – სამართლიანად შენიშნავენ კოლეგები.

აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა რეკომენდაციები „საქართველოს მოსამართლეთა ერთობამ“ – საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა, ადამიანური ფაქტორის ჩარევის გარეშე...

„მთლად კომპიუტერს ნუ მივანდობთ ყველაფერს, – ასეთ კომენტარს აკეთებს ევა გოცირიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, – **საქმეთა განაწილების წესი, რომელიც უნდა იყოს დამკვიდრებული ქვეყანაში, დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან. როდესაც ვსაუბრობთ კონვენციის მე-6 ოქმში კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოზე, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მოსამართლეზე, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იმ შინაარსისა, რომელიც მასში დევს, უკავშირდება სწორედ საქმეთა განაწილების წესს. ამ დებულების შინაარსშივე იგულისხმება მათ შორის კანონიერი მოსამართლის გაგება. კანონიერ მოსამართლეში კი ისიც, ეს არის თუ არა სწორედ ის მოსამართლე, რომელსაც უნდა განეხილა ეს საქმე. სამართლიანად მიეცა თუ არა მას ეს საქმე განსახილველად. თუკი საქმის განაწილებისას ეს კანონით გათვალისწინებული პრინციპი დარღვეული აღმოჩნდება, იმავდროულად აღმოჩნდება დარღვეული უფლება კანონიერ მოსამართლეზე, კანონიერ სასამართლოზე, კონვენციის მე-6 ოქმი და ა. შ.**

საქმეთა განაწილების პრინციპმა უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა თანაბარი დატვირთვა, მაგრამ თუ მას კომპიუტერი გაანაწილებს, რატომღაც მგონია, რომ შეიძლება სწორედაც რომ არათანაბარი განაწილების ფაქტის წინაშე დავდგეთ. მაგალითად, სხვადასხვა სირთულისა და მოცულობის საქმე სხვადასხვაგვარ დროს მოითხოვს. ამიტომ ამ შემთხვევაში განაწილების პრინციპის გამო, შეიძლება მოსამართლეს დაუგროვდეს გაცილებით რთული საქმეები, ვიდრე მის კოლეგას, ანუ შეიძლება რაოდენობა თანაბარი იყოს, მაგრამ რეალურად ერთი საქმე ხუთ საქმეს უდრიდეს. ამიტომ იქნებ ტექნიკურად მოხერხდეს, რომ საქმეთა განაწილების სისტემაში ჩადებული იყოს საქმის სირთულის კომპონენტი. ეს არ იქნება რთული, თუკი შემოვიღებთ მოდუსებს, სირთულის კოეფიციენტებს და ა. შ. მაგალითად, არის ქვეყნები, სადაც წონიან საქმეებს (ტომებს) და იმის მიხედვით განსაზღვრავენ მის სირთულეს... შემდეგი სერიოზული პრობლემაა ელექტრონულად განაწილებული საქმეების მისადაგება სპეციფიკაციასთან. ეს თემაც სპეციალისტების წინაშე უნდა დავაყენოთ.

საბოლოო ჯამში, მაინც ბევრი რამე იქნება დამოკიდებული პატიოსნებაზე. ელექტრონული განაწილება არის იმის გარანტია, რომ მანიპულაციებისგან იქნება დაცული, მაგრამ პანაცეა არც ეს არის“.

თეა მოსია

◎ თაობა

„ვერცხლი“ სამხრეთ ამერიკიდან

პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში ქართველმა სპორტსმენმა რეზი დავითაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ატაცში 130 კილოგრამი დაძლია, ხოლო აკვრაში – 162 კგ, რამაც ახალგაზრდა ძალოსანს საბოლოო ჯამში მსოფლიოს ვიცე ჩემპიონის ტიტული მოუტანა. რეზი პირველადგილოსან კოლუმბიელ ჯეისონ ლოპესს 5 კილოგრამით ჩამორჩა.

„რა თქმა უნდა, შემეძლო ოქროს მედლის მოპოვება. ატაცში ორჯერ ვერ ავწიე, რამაც შემაფერხა. პირველადგილოსანმა კოლუმბიელმა ძალოსანმა ჯამში 5 კილოგრამით გამასწრო. პირველად მივიღე მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირზე და საკმაოდ წარმატებულადაც“ – განაცხადა მსოფლიოს ვიცეჩემპიონმა რეზი დავითაძემ.

ბეჟან დოლიძე

◎ თანამემამულე

ესპანეთშიც ფალავნად რჩება

ნეთის თასზე ოქროს მედალი მოიპოვა.

მაღრაძეს 15 წელია, რაც ჭიდაობაში აღარ უვარჯიშია. 1996 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონატზე ტოკიოში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ქართველ ფალავანს ჯერჯერობით ესპანური პასპორტი არა აქვს, თუმცა, წელს მაინც დაუშვეს გამონაკლისი და ესპანეთის თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

გია მაღრაძე Club De Lucha Olimpica-ს წევრია. მისმა გუნდმა ტურნირში საერთო ჯამში 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო დაიმსახურა.

ფინალში მაღრაძემ ხუან ესპინო (კანარის კუნძულები) დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ესპინო 5 წელი უძლეველი იყო.

ამჟამად ჩვენი თანამემამულე ესპანეთის პასპორტს ელოდება, რათა უფრო დიდი მასშტაბის (ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები) ტურნირებში მიიღოს მონაწილეობა.

ESპანეთში მცხოვრებმა ქართველმა მოჭიდავემ გია მაღრაძემ სამბოს სტილით ბრძოლაში ესპა-

ბადრი იაშვილი

◎ გიხარიოდენ!

მამაკაცთა ნაკვალევზე

სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ კოსტავა დიუსელდორფის კიდევ ერთი გმირის ზაურ სვანაძის გაკვალულ ბილიკს წარმატებით მიუყვება და უკვე საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების თავკაცის ამპლუაში საპატიო შედეგიც გამოჭედა.

საუბარია მალტაზე გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველ რაუნდზე, სადაც ჩვენმა მანდილოსნებმა მასპინძლებთან და ფარერელებთან ერთად 6-6-ქულა მოაგროვეს და ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველი ადგილი დაიკავეს.

წინ საკვალიფიკაციო ეტაპია.

შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა 20 აპრილს შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაშია დანიშნული, ხოლო „ევრო-2017“-ის ფინალურ ბატალიებს ჰოლანდია უმასპინძლებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჰოკეი

ესეც საქმეა

საქართველოს ყინულის ჰოკეის ნაკრებმა თურქეთის ქალაქ იზმირში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 დივიზიონში 2 თამაში მოიგო და 7 გუნდს შორის მე-5 ადგილი დაიკავა.

ქართველმა ჰოკეისტებმა პირველი გამარჯვება (4:1) ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მოიპოვეს,ხოლო ტურნირის დასკვნით დღეს არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრები ბულიტების სერიაში დაამარცხეს.

მატჩის ძირითადი დრო 4:4 დასრულდა, თამაშის გმირი კი ვიტალი დუმბაძე გახდა, რომელმაც ძირითად დროში ჰეთ-თრიკი შეასრულა და მერე გადამწყვეტი ბულიტიც შეაგდო.

იზმირში ჩატარებული შეჯიბრების გამარჯვებული ჩრდილოეთ კორეის გუნდი გახდა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში მასპინძელი თურქეთის ნაკრები ოვერტაიმში დაამარცხა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ქართული წვლილი

ევროპის ლიგის პლეი-ოფის სტარტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცსკას სახით წლევანდელ გათამაშებას გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს.

თითქოს ვარსკვლავები აკლდეთ, არმიელებს მეოთხედფინალური რაუნდის წინ ტრავმამოშუშებული ვიქტორ ხრიაპა დაუბრუნდათ და რაღა გასაკვირია, რომ მოსკოვში გამართულ უთანასწორო ბრძოლაში რუსულ კლუბს ისეთი აღიარებული გრანდი „შემოელახა“, როგორიც „პანათინაიკოსია“ – 93:66.

სასიამოვნოა, რომ ელადელთა რბევაში ღირსეული წვლილი მასპინძელთა ქართველმა ლეგიონერმა მანუჩარ მარკოიშვილმა შეიტანა. მან პარტნიორებს 13 ქულა შესძინა (მათ შორის 3 სამქულიანი ჩააგდო) და შედეგიანობით მხოლოდ მილოშ თეოდოშიჩს ჩამორჩა. სოლიდური მონაგარი ჰქონდათ რუსთა დანარჩენ ლიდერებს – დე კოლოს, ვიმსსა და ვორონცევიჩსაც, მათი კლასიკური თამაშის ფონზე კი ძნელია რომელიმე სტუმრის გამორჩევა – ბერძენთა ზოგიერთმა სნაიპერმა მხოლოდ მაშინ გაილაღა, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ასე რომ, ჩრდილოელები სერიაში უპრობლემოდ დაწინაურდნენ – 1:0 და თუ მეტოქეს საკუთარ დარბაზში დღესაც დაამარცხებენ, ცალი ფეხით მადრიდში გასამართ ოთხთა ფინალში დაიგულებენ თავს. შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფი სამ გამარჯვებამდე გრძელდება.

„ფენერბახჩე“ – „მაკაბი“ 80:72.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თანამშრომლობა

EUROPE-BET.COM-ი ქუთაისის „ტორპედოს“ გენერალური სპონსორია

საქართველოს უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ გენერალური სპონსორი კომპანია Europe-bet.com-ი გახდა. მხარეებმა ერთწლიანი ხელშეკრულება სასტუმრო „რედისონის“ საკონფერენციო დარბაზში გააფორმეს.

„ტორპედოს“ მხრიდან შეთანხმებას ხელი კლუბის დირექტორმა დავით ფრუიძემ მოაწერა, ხოლო Europe-bet.com-იდან – გენერალურმა დირექტორმა მაია კოპინაძემ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

მადრიდს სისხლის არ სჯერა

მადრიდში არც გოლი გასულა, არც წითელი ბარათი აუფრიალებია სერბ მსაჯ რაჟიჩს და არც სახიფათო მომენტების სიმრავლე ყოფილა.

სამაგიეროდ, „ვისენტე კალდერონზე“ გამართულ „ატლეტიკო“ – „რეალის“ პირველ მეოთხედფინალურ ბრძოლაში უხვად დაიღვარა „როხიბლანკოს“ ბალკანელი სნაიპერის მარიო მანჯუკიჩის სისხლი, რომელსაც ხან სერხიო რამოსი უხსნიდა ჭრილობებს, ხანაც – კარბახალი.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როცა „სამეფო კლუბმა“ ძირითადი დროის ბოლო წამებზე იხსნა მატჩი და რიცხვნაკლულ მეტოქეს დამატებით დროში „გადაუარა“, დიეგო სიმეონემ ზღაპრულ რეცენტს მიაგნო და წლეულს გამართული ექვსივე კასტილიური დერბის შემდეგ წყლიდან მშრალი ამოვიდა – ოთხი გამარჯვება და ორი ფრე.

კარლო ანჩელოტის შეგირდებმა ნავსი ვერც ამჯერად გატეხეს, თუმცა ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ერთ კვირაში ვინ მოიპოვებს შემდეგი ეტაპის საგზურს – 0:0 ხომ ისეთი შედეგია, ორივე მხარეს რომ უტოვებს ლოკალური წარმატების შანსს.

არადა, თამაშის დებიუტშივე დიეგო გოდინის უხეშ შეცდომას მეკარესთან პირისპირ გასული გარეთ ბეილის ზუსტი დარტყმა რომ მოჰყოლოდა, კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

ამ ეპიზოდშიც და შემდეგაც ტრავმირებული ძირითადი მეკარის მოლინას დუბლიორმა ობლაკმა საიმედოდ იმოქმედა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდეც „მშრალი“ ანგარიში – 0:0.

სანახაობრივი თვალსაზრისით ვერც ტურინში გამართულმა „იუვენტუს“ – „მონაკოს“ დუელმა გაამართლა ტიფოზების იმედები, თუმცა 55-ე წუთზე მორატამ კარვალიოს მაინც დააშვებინა საბედისწერო შეცდომა და ვიდალმა პენალტით „ბებერი ქალბატონი“ აზეიმა – 1:0.

გიორგი ზოთაძე

რითი კვებავდა პუტინის პაპა სტალინს?

დიქტატორების საყვარელი კერძები

2014 წლის ნოემბერში ლონდონში უცნაური წიგნი გამოვიდა ირონიული სათაურით: „დიქტატორების ვახშამი: ტირანების უგემოვნებობის ცნობარი“. ავტორებმა ისტორიული კვლევების საფუძველზე ყველაზე ოდიოზური მეთაურების ნადიმების საიდუმლოებანი ამოხსნეს. გთავაზობთ მოკლე გასტრონომიულ ექსკურსს Mashable-სთან ერთად.

ბენიტო მუსოლინი

კერძი: **ზეთით და ლიმონით შეზავებული წვრილად დაჭრილი ნივრის სალათა.** „დუჩეს“ მეუღლე რაკელეს, ოჯახის მზარეულისთვის უთქვამს, რომ ზოგჯერ ვახშმად იმდენ ნიორს ჭამდა, მის გვერდით გაჩერება შეუძლებელი ხდებოდა და ღამ-ღამობით საძინებლიდან იპარებოდა და რომელიმე შვილთან იძინებდა.

ადოლფ ჰიტლერი

კერძი: **მტრედის ხორცი, ფარშირებული ენით, ღვიძლით და თხილით.**

ჯარისკაცი, რომელმაც ფიურერთან უკანასკნელი რამდენიმე კვირა გაატარა ბუნკერში, იხსენებს, რომ საჭმელს მექანიკურად იდებდა პირში, მაგიდასთან თითებს იკვნეტდა და საჩვენებელი თითით ცხვირს იწმენდდაო. ინგლისელებთან დიდი ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ ჰიტლერი ვეგეტარიანელი გახლდათ, აი, სიცოცხლის ბოლოს თუ მტრედის ხორცი შეუყვარდა, ნამდვილად არ ვიცოდი, რაც შეეხება თითით ცხვირის მოხოცვას, მაგით ქართველებს ვერ გაგვაკვირვებენ.

ანტონიო დი სალაზარი

კერძი: **შემწვარი სარდინი ლობიოსთან ერთად.**

პორტუგალიელი დიქტატორისთვის სამშობლოს ერთგულება უმაღლესი ცნება გახლდათ, ამის სადემონსტრაციოდ ოჯახის შექმნაზე უარი განაცხადა. ცოტა უცნაური და მგონი არაადეკვატური პატრიოტიზმია, შესაძლოა, იმიტომ, არიქა, თვალი არ წამიცდეს და სხვა ქალისკენ არ გავიხედოო, ვიცი მე (ეჭვი არ არის თქვენც) ერთი პრეზიდენტი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, ოჯახის დიდი ერთგულებით რომ არ გამოირჩეოდა. ისევ პორტუგალიელს მივუბრუნდები, ამ თევზსა და ლობიოს იმიტომ კი არ ჭამდა — ძალიან გემრიელიაო, უბრალოდ, თავისი ღატაკი ახალგაზრდობის წლებს უსვამდა ხაზს, როცა მაგის მეტი სარჩო არ ჰქონდათ, აი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის პირის გემო კი საკვების რაოდენობით იზომებოდა — რაც მეტია, მით უფრო გემრიელია.

კიმ ჩენ ირი

კერძი: **ზვიგენის ფარფლების სუპი და პოსინთხანი (ძაღლის ხორცის სუპი, რომელზეც ამბობენ, რომ მამაკაცის პოტენციას ამაღლებს).**

აეროპორტისკენ მიმავალ გზატკეცილზე მდებარე ნაციონალების ოფისის ბინადრების საყურადღებოდ: სასწრაფოდ გაიგეთ პოსინთხანის დამზადების რეცეპტი და კიევში გადაუგზავნეთ თქვენს ბელადს, იქნებ უკვე არაფერში წაადგეს, მაგრამ თქვენ ყურადღებაში ჩაგეთვლებათ.

ჰო, კიმ ჩენ ირზე ვსაუბრობდით,- საოცარი გურმანი ყოფილა, საწყალ მზარეულს ხან ირანული სვიის ხიზილალას სთხოვდა, ხან დანიური ღორის შაშხს, ხანაც იაპონურ ბრინჯის კვერს, მაგრამ ჭამით თურმე ძალიან ცოტას ჭამდა.

მუამარ კადაფი

კერძი: **აქლემის ხორცი და კუსკუსია**

როგორც ამბობენ, ყველაზე გემრიელი აქლემის კუზია, მოხარშული ან შემწვარი, გამიგონია, კადაფის აქლემის რძეც „ნაყვარება“; ისე, ეს ლიბიელები ძალიან უმადური ხალხი აღმოჩნდა, რას ერჩოდნენ ამ საცოდავს, თავისი ხალხისთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია.

ფიდელ კასტრო

კერძი: **კუს სუპი.**

კუბელ რევოლუციონერს თავადაც ეხერხებოდა საჭმლის მომზადება და ხშირად თავის ხალხს ამა თუ იმ კერძის მომზადების რეცეპტებსაც უმხელდა; მისი ერთ-ერთი საყვარლის სელია სანჩესის თქმით, თავად ფიდელს კუს ხორცის სუპი ყველაფერს ერჩივნა.

იდი ამინი

კერძი: **ფორთოხალი.**

უგანდის სასტიკი პრეზიდენტი ერთხელ გამოტყდა, ადამიანის ხორცი დიდად არ მომეწონა და ფორთოხალი მირჩევნიაო, დღეში დაახლოებით ორმოცამდე ფორთოხალს მიირთმევდა და ბუნებრივ „ვიაგრას“ ეძახდა.

ა, ბატონო, კიდევ ერთი საჩუქარი ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. არიქა! ვის აბარია საქართველოში ფორთოხლის ბიზნესი! არ დაგვღუპოთ, პირველივე რეისით გააგზავნეთ.

იოსებ სტალინი

კერძი: **კავკასიური, ძირითადად ქართული სამზარეულო.**

თურმე, საბჭოთა „ხალხების მამას“ საჭმელს უმზადებდა სპირიდონ ივანოვიჩ პუტინი, ვალოდიას ალალი პაპა. ეს მეტად ძნელი საქმე ყოფილა, რადგან სტალინისთვის ჭამა რიტუალი იყო და ხშირად ქეიფში გადადიოდა. იოსებ ბესარიონის ძეს თავადაც ჰყვარებია სამზარეულოში ფუსფუსი და ორიგინალურ საჭმელებსაც იგონებდა თურმე, მაგალითად ცხვრის ხორცი ბოსტნეულით თიხის ქოთანში და მისთვის სახელიც შეურქმევია „არაგვი“.

— ამ წიგნის ავტორების საყურადღებოდ მინდა, განვაცხადო, რომ საუბარია ჩვეულებრივ ჩანახზე, რომელიც სტალინს ნამდვილად არ მოუგონია და საერთოდაც, დიდი ბელადის ღორმუცელობა არავის გაუგია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი უპრეტენზიო იყო და ძალიან ცოტას ჭამდა.

ფრანსისკო ფრანკო

კერძი: **გალისიური პაელია**

ამბობენ, ყოველ ხუთშაბათს მადრიდის რესტორნებში სპეციალურად ამზადებენ პაელიას, იმის პატივსაცემად, რომ ფრანკო ზუსტად ამ დღეს გამოდიოდა ქალაქში აღნიშნული კერძის მისართმევადო.

პაელია მზადდება ბრინჯის, ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტებისგან, მთავარი კი თეთრ ღვინოში შებრაწული გალისიური ქათამი ყოფილა.

სადამ ჰუსეინი

კერძი: **მეზგუფი, ღია ცეცხლზე მომზადებული მდინარის თევზი**

ბაღდადის ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონის განცხადებით, ჰუსეინი კვირაში ორჯერ უკვეთავდა ამ ეროვნულ კერძს და უკვე მომზადებულის წასაღებად მისი მცველები მოდიოდნენ. ამბობენ, ერთხელ მეზგუფი ჟაკ შირაკს გაასინჯა, იმას ისე მოეწონა, რომ მერე საჩუქრად ნახევარი ტონა გაუგზავნაო. — ისე, ეს მეზგუფი ჩვეულებრივი მდინარის კობრია, ჩვენშიც ბევრია და არა მგონია, ასეთი გასაგიჟებელი იყოს.

ამ ჩამონათვალში მსხვილ-მსხვილი დიქტატორების პირის გემოზეა საუბარი; ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, წვრილ-წვრილი ღორმუცელა ტირანები ამ სიაში ვერ მოხვდნენ, მაგრამ გვარს ისევ არ დავასახელებ და ზოგიერთს კიდევ აქვს შანსი, დიქტატორული თვისებებით თუ არა, მუცელღმერთობით ისე გაითქვას სახელი, ინგლისელმა ისტორიკოსებმა სულაც ცალკე წიგნი მიუძღვნან.

თარგმნა და კომენტარები დაურთო
თამაზ ჩიქვანაიამ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია, რუსლან რუსია, მამუკა ვაშაკიძე გულითადად თანაუგრძნობენ ცნობილ ისტორიკოსსა და პუბლიცისტს, ჩვენი გაზეთის მეობარსა და სასურველ ავტორს, პროფესორ გრანი ქავთარიას ძვირფასი მეუღლის

მედეა ბეშკენაძის

გარდაცვალების გამო.

◎ წკეპლიკა

ალასანია - ნანუკას შოუს სტუმარი

ირაკლი, დიდი გზა გაიარე კულინარებიდან ნანუკა ჟორჟოლიანის შოუმდე?

რაღაც არ გვახსოვს, ადრე მისი სტუმარი ყოფილიყავი. ახლა ბოღმის ამოსანთხევად კარგი სივრცე აირჩიე; თან „დიასახლისმა“ ალბათ დაგაკვალიანა, კიევში როგორ შეხვდე საკაშვილს. აბა შენ იცი!

ლონდა მდივანი

◎ ინფორმაცია

დაკავებულია ყაჩაღური დაჯგუფება

შსს-მ ყაჩაღობის ბრალდებით ორგანიზებული ჯგუფი დააკავა. შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის 6 წევრი — 1962 წელს დაბადებული მურმან ს, 1991 წელს დაბადებული ბექა ს, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბესიკ ც, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი არკადი მ, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ხვიჩა ა. და 1982 წელს დაბადებული ნუკრი ა. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებულმა ბრალდებულებმა დიღმის მასივში, ნაილი გ-ს ბინაში შეაღწიეს, მას და მის შვილებს ხელფეხი შეუკრეს. შემდეგ თავდამსხმელები სიცოცხლის მოსპობის მუქარით 200 000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთებს დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ორგანიზებული ჯგუფის წევრები თბილისში, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაყაჩაღარი ოქროს ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს“, — ნათქვამია განცხადებაში.

თავი ისევ ომში ეგონა

მამაკაცი, რომელიც თბილისში, ჩიტაძის ქუჩაზე სროლის გამო დააკავეს, აცხადებს, რომ ომის ვეტერანია. იური კვარაცხელია ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლიდან პოლიციამ გუშინ დააკავა.

იური კვარაცხელიამ განაცხადა, რომ მეგობრებთან, ვეტერანებთან ერთად ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში შეიკრიბნენ, სვამდნენ, რის შემდეგაც მათ ჰაერში ისროლეს.

ჩიტაძის ქუჩაზე სროლის ხმა გუშინ დილით გაისმა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

◎ შიდა ქართლის რეგიონი

კასპში ახალი გზა მიგვიყვანს

მიმდინარეობს იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გზის მონაკვეთის სიგრძე 6,5 კილომეტრია, რომელიც მოიცავს სოფელ იგოეთსა და მრგვალ ჭალას და დასრულდება კასპში, ე.წ. „წყალსაქაჩის“ ხიდთან.

ამჟამად მიმდინარეობს ხიდების გაგანიერების და გამაგრებითი სამუშაოები.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ზიმო“.

სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 4 852 000 ლარია, მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

მოწესრიგდება საკანალიზაციო ქსელი

2014 წელს, ქალაქ კასპში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილატიცის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. 2015 წელს კასპის მუნიციპალიტეტში, გრძელდება საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები.

კასპის გამგეობაში საკანალიზაციო სისტემის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოების პროექტის წინასწარი განხილვა გაიმართა, რომელიც საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „არქდიზაინმშენმა“ წარმოადგინა.

საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროექტის წინასწარი განხილვის მიზანი, პროექტის სრულყოფილ შედგენას ემსახურება.

პროექტი გრძელვადიანია და გაგრძელდება ქალაქის საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის სრულ მოწყობა-რეაბილიტაციამდე.

◎ ნიკო გომელაურის სკვერი

„გული რომ განცდით დაისერება...“

„... არ გამაგონოთ თითქოს:
ცხოვრება არის სცენა,
თვალი სინაღდეს ითხოვს,
სიმართლეს ითხოვს სმენა.
არ ვიცი როგორ, რისთვის,
აზრი ვარსკვლავებს წვდება
და რომ მიაღწევს თითქმის
ციდან ლექსებად წყდება...“

ეს მშვენიერი ლექსია ამოტვიფრული ნიჭით გამორჩეული მსახიობის, შესანიშნავი პოეტური სტრიქონების ავტორის **ნიკო გომელაურის** მემორიალთან, რომლის სახელობის სკვერი ა. გრიბოედოვის სახელობისა და თავისუფალი თეატრის მიმდებარედ გუშინ გაიხსნა.

ამ სევდანარევ საზეიმო თავყრილობას დიდძალი ხალხი დაესწრო — მსახიობები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, ჩვენი საზოგადოების ცნობილი სახეები, უდროოდ გარდაცვლილი, არაჩვეულებრივი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ნიკო გომელაურის ახლობლები და მეგობრები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

საგანგებოდ ამ დღისთვის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ, თბილისის მერიის განვითარების ფონდის ძალისხმევით, აწ უკვე ნიკო გომელაურის სახელობის სკვერი გაკოხტავდა და გალამაზდა, დამონტაჟდა ახალი განათება, მისასვლელს მსახიობისა და პოეტის მემორიალი, კედელს, ფეხით სავალ ნაწილს და ახალდადგმულ გრძელ სკამებს მისი ლექსები ამშვენებს.

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ იქაურობა დღითი დღე მშვენდება — თეატრის მოპირდაპირედ ბავშვთათვის ატრაქციონებია მოწყობილი, რომლებზეც პატარა თბილისელები დიდად ერთობიან, გაკეთდა ლამაზი ბორდიური. ცოტა ხნის წინათ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მეტრო „თავისუფლების მოედნიდან“ მთავრობის კანცელარიამდე ასასვლელი კიბის შუაში ლითონის მოაჯირი დადგეს, რაც თავისთავად ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ის, სამწუხაროდ, მალევე გადაიბრიცა. ახლა უვარგისი მოაჯირი ახლით შეიცვალა და თავის დანიშნულებას სრულად შეესაბამება, რაც ხანდაზმული ადამიანებისთვის ძალიან დიდი შეღავათია.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



◎ ჩვენი კარაბადინი

დავეხმაროთ გულსა და სისხლძარღვებს

ჯანსაღი გული და სისხლძარღვები — დღეგრძელობისა და ახალგაზრდობის საწინდარია. არ არის გასაოცარი, რომ მკვლევარები ეძებენ ახალ საშუალებებს, რათა თავიდან ავიცილოთ გულთან და სისხლის მიმოქცევის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოხუცებულობა უქმდება!



გულის ჯანმრთელობის მხარდაჭერისთვის სასარგებლოა სწორი კვება (ვჭამოთ ხილი და ბოსტნეული, არ ვჭამოთ ცხიმიანი, მლაშე და ტკბილი საკვები), რეგულარულად ვასრულებდეთ ფიზიკურ ვარჯიშებს, უარი ვთქვათ სიგარეტზე და შევიზღუდოთ ალკოჰოლი. მაგრამ ამ საერთო რეკომენდაციებში არის რაღაც ნიუანსები.

მიირთვით ბოსტნეული

ამერიკის შეერთებულ შტატებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრობლემებთან დაკავშირებით 16 გამოკვლევა მოაწყვეს. მათში ჩართული იყო 800 ათასზე მეტი მოხალისე, რომლებმაც მისცეს ნება გამოეკვლიათ ისინი და ეპასუხათ შეკითხვებზე. შედეგად გამოირკვა: რაც მეტ ბოსტნეულსა და ხილს მოიხმარდა ადამიანი, მით უკეთესი იყო მისი გულის მდგომარეობა! ხილისა და ბოსტნეულის 5 ულუფა დღეში აღმოჩნდა ყველაზე საიმედო დაცვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან. აღინიშნა, რომ ბოსტნეულის მოყვარულებს ჯანმრთელი აქვთ არა მხოლოდ გული, არამედ კორონარული არტერიებიც, რომლებიც სისხლით ამარაგებენ მგზნებარე მოტორს, კვებავენ მის კედლებს. ამ დროს არ არის სავალდებულო გახდე ვეგეტარიანელი: „მწვანე საჭმლის“ 5 ულუფა შეიძლება მიიღო როგორც საკვების მიღებებს შორის, ისე როგორც სალათი, საუზმე, გარნირებში ჩამატებით.

შეიმოწმეთ მეხსიერება

მეხსიერებისა და ინტელექტუალური უნარების დაქვეითებამ შეიძლება მოგვცეს სიგნალი ინსულტის მოახლოების შესახებ, ამტკიცებენ მკვლევარები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მათ ანალიზი გაუკეთეს 65 და უფრო მაღალი ასაკის 7 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემებს. და დაადგინეს, რომ ადამიანებს, რომლებმაც ტესტებზე აჩვენეს დაქვეითებული ინტელექტუალური უნარი, ინსულტის რისკი გაზრდილი აქვთ 61 პროცენტით! ახსნა მარტივია: როდესაც ტვინი იწყებს ინტელექტუალური ფუნქციების ცუდად შესრულებას, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მასში რაღაცა წესრიგში არ არის. აღმოჩნდა, რომ მთავარი უწესრიგობა — ესაა ტვინის სისხლძარღვების მდგომარეობა, ცუდი სისხლით მომარაგებას კი ინსულტის რისკთან მივყავართ. ამიტომ, თუ ადამიანი იწყებს პრობლემების განცდას მეხსიერებასთან დაკავშირებით, უნდა მიმართოს ნევროპათოლოგს და გამოიკვლიოს ტვინის სისხლძარღვები. მათი მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ, თუ სწორ კვებაზე გადავალთ და გავივლით შესაბამისი პრეპარატების კურსს, რომლებიც ექიმმა უნდა შეარჩიოს.

მეტი ისეირნეთ

ვიტამინისა და გულის კუნთის მდგომარეობის კავშირი მოულოდნელი აღმოჩნდა მკვლევარებისთვის შოტლანდიიდან. მათ ყოველმხრივ გამოიკვლიეს D ვიტამინის გავლენა კალციუმის ათვისებაზე. მეცნიერები უამრავ ანალიზს იღებდნენ და ატარებდნენ ფიზიოლოგიურ ტესტებს 60 წლის საშუალო ასაკის 13 ათასზე მეტ მოხალისეს შორის. 3 თვის შემდეგ მიიღეს სრულიად მოულოდნელი შედეგი: ინფარქტის რისკი 18 პროცენტით შეუმცირდათ მათ, ვინც D ვიტამინს ღებულობდა.

D ვიტამინს შეიცავს რძის მომჟავო პროდუქტები (არა თავად რძე!), პალტურისა და ვირთევზას ღვიძლი, აგრეთვე თევზის ქონი. მაგრამ იმისთვის, რომ D ვიტამინი იქნეს ათვისებული, აუცილებელია მზის სხივები. თანაც გარუჯვა ბრინჯაოს ფერამდე სულაც არ არის სავალდებულო. საკმარისია, 15 წუთით მივუშვიროთ სახე ან გაშლილი ხელები მზეს, თანაც მზის სხივები ყველაზე ეფექტურია ამოსვლის ან ჩასვლის დროს. დაგვეთანხმეთ, რომ 15 წუთი გასეირნებისთვის შეიძლება გამოინახოს სასადილო შესვენების დროსაც კი!

ზაზა

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ქმარი მივლინებიდან ვადაზე ადრე დაბრუნდა და ცოლს საყვარელთან წაასწრო.
— რა არის, რა ამბავია, რასა შვრებით?
ცოლი მიუბრუნდა საყვარელს და ეუბნება:
— აი, ხომ გეუბნებოდი, ნამდვილი იდიოტია!

* * *

ცოლ-ქმარმა მაგრად იჩხუბა და გაცეცხლებული ქალი იძახის:
— შენ ცოლობას სჯობდა ეშმაკს გავყოლოდი!
— არაფერი გამოგივიდოდა, და-ძმას შორის ქორწინება აკრძალულია!

* * *

ქმარი:
— დავიძინოთ თუ რა ვქნათ?
ცოლი:
— ჯერ ვქნათ, მერე დავიძინოთ.

* * *

ორი აგური სახლის სახურავზე მოცოცავს, ერთი მეორეს ეუბნება:
— აბა, წავედი, გადავხტები, იქნებ ახლა მაინც შემხვდეს ვინმე კაი კაცი!

* * *

პატარა შაქრომ მშობლებს საძინებელ ოთახში შეუსწრო და მეორე დილით პაპას ეუბნება:
— აბა, განა ეგ საქმეა, მაშ მე რად მიშლიან ცხვირში თითის შეყოფასა?!.

* * *

ქორწინების პირველი ღამის შემდეგ მაშო ეუბნება შაქროს:
— გენავ, ჩვენა სამი ვაჟიშვილი გვეყოლება. ახლა ისინი დედაჩემთანა ცხოვრობენ...

* * *

ორი ასაკოვანი მეგობარი ხვდება ერთმანეთს.
— იცი, ახალგაზრდა ქალი შევირთე, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ სექსუალურად ვერ დავაკმაყოფილო!
— შენც აიღე და ახალგაზრდა თანაშემწე აიყვანე, — ურჩევს მეგობარი.
ნახევარი წლის შემდეგ ისევ ხვდებიან ერთმანეთს.
— ჰა, როგორაა საქმე?
— მადლობა, ძმაო, ცოლი ფეხმძიმედაა.
— თანაშემწე აიყვანე?
— ჰო, ავიყვანე, ისიც ორსულადაა...

◎ კადრი



ოსტატ იოდის ცვილის ფიგურა საგიდან — „ვარსკვლავური ომები“ გამოფენილია ბერლინში ბრანდერბურგის კართან. ახლა ტურისტებს შეუძლიათ გადაიღონ ფოტო არა მხოლოდ ცნობილ ღირსშესანიშნაობასთან, არამედ საყვარელ გმირთანაც!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24